ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲗᲕᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 229 (19670) ◆ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში დიდი მოცულობის სამუშაოები სრულდება, მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. მიუხედავად ამისა, საწარმოს მშრომელები ყველაფერს ღონობენ სახელმწიფო დავალებათა უთუო შესრულებისათვის.

კოლექტივმა შეძლო შეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის განვლილ რვა თვეში პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,4 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა 101,5 პროცენტით შეესრულებინა.

ძირითადი პროდუქციის გამოშვებასთან ერთად აქ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მოსახლეობისათვის საჭირო სახალხო მოხმარების საგნების დამზადებას და სავაჭრო ობიექტებს რეგულარულად აწვდიან სხვადასხვა სახეობის ნაწარმს. ქარხანაში თითოეულ სამუშაო უბანზე, საამქროში, ცვლაში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება კარგი შედეგების მოსაპოვებლად.

მოწინავეთა შორის არიან მექანიკური საამქროს ხარატები გივი გაგიჩილაძე, ვასილ ჯღარკავა, ზურაბ ხითარიძე და სხვები.

(„კომუნისტის“ კორ.)

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (ხაკ. კორ.). ქალაქის ხორცკომბინატის მშენებლობა ოთხი წლის წინათ დაიწყო. საწარმოს კორპუსებსა და დამხმარე ნაგებობებს ექვსი ჰექტარი უჭირავს. სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ კომბინატი დღე-ღამეში 30 ტონა ხორცს გადამუშავებს, სამაცივრო მეურნეობის სიმძლავრე კი 1400 ტონას მიაღწევს.

მთელი რიგი შეფერხებების შემდეგ მიმდინარე წელს მდგომარეობა არსებითად გამოსწორდა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-12 ტრესტის ხელმძღვანელობამ განახორციელა ოპერატიული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რამაც შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ერთიორად გაუმჯობესა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ხორცკომბინატის პირველი რიგი, სამაცივრე მეურნეობა, ავტოსადგომი, ელექტროსადგური, წყალგაყვანილობა, სანაწყობო და სხვა ტექნიკური სათავსოები. ათვისებულია 2 მილიონ 500 ათასი მანეთი, რაც პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებებს ნახევრად შეადგენს.

ტრანსპორტი ... ავტომანქანა — ... ავტომანქანა, რომელიც ... ძოძავალი წლის მეორე ნახევარში უნდა დასრულდეს. ასათვისებელია 2 მილიონ 500 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ხორცკომბინატის პირველი რიგის ჩაბარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მებეტონეებმა ი. ომაძემ, რ. ორეონიამ, ს. ბერიძემ, მეარმატურე ს. ნასარიამ, კალატოზმა დ. ნეპორჩატოვმა, მძღოლმა ა. ქინჯოლავამ.

პროექტით გათვალისწინებული სიმძლავრით საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ზუგდიდის ხორცკომბინატი ერთ-ერთი უდიდესი ობიექტი იქნება ქალაქის კეთილმოწყობილობის საწარმოთა შორის.

СККП ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 2 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე აღნიშნა კრასნოდარის მხარის აგროსამრეწველო კომბინატის „ყუბანის“ მუშაობის დადებითი შედეგები და მოიწონა წინადადებანი რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში, უკრაინის სსრ რესპუბლიკასა და ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში კიდევ თოთხმეტი ასეთი კომბინატის შექმნის შესახებ. ამ ახალ ფორმირებათა მთავარი ამოცანაა გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მაღალხარისხოვანი სასურსათო საქონლის წარმოება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ბაზაზე, აწარმოონ, დაამზადონ, გადაამუშაონ და გასაღონ პროდუქცია სამეურნეო ანგარიშისა და თვითთანაზღაურების საფუძველზე. მიზანშეწონილად არის მიჩნეული მომავალში გამოცდილების წესით შეიქმნას აგროსამრეწველო კომბინატები აგრეთვე სხვა მხარეებსა და ქალაქეთა ინტერესებს და ამავე დროს მტკიცედ აღკვეთდნენ ანტისოზოგადოებრივ მოვლენებს, ეწეოდნენ შეურიგებელ ბრძოლას დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ. როგორც აღინიშნა, შეუწყნარებელია, რომ ვინმე ცდილობდეს ჩაერიოს კონკრეტულ საქმეთა გამძიღებასა და სასამართლო გარჩევაში. პარტიულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ კანონიერების განმტკიცებისათვის მუშაობა მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად. განსაზღვრა სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შემდგომი გადიდების მიმართულებანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის, საბჭოთა მოქალაქის შრომის, სამბინაო და სხვა უფლებების უთუო დაცვისათვის ბრძოლაში.

პოლიტბიუროს განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. აღინიშნა, რომ განხორციელდა დაზიანებული რეაქტორის კონსერვაციის, გაჟუჟყიანებული ტერიტორიის დეზაქტივიზაციის, ატომური ელექტროსადგურის პირველი და მეორე ელექტრობლოკების საექსპლოატაციოდ გადაცემის მომზადების დიდი მასშტაბის ღონისძიებანი. უზრუნველყოფილია რადიოაქტიურ ნივთიერებათაგან წყლის რესურსების საიმედოდ დაცვა. ყველა შრომისუნარიანი მოქალაქე უზრუნველყოფილია სამუშაოთი. გახიზნული მოსახლეობისათვის აშენდა 8 ათასზე მეტი სახლი და გრძელდება კიდევ დაახლოებით 6 ათასი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლის აგება.

მოისმინა რა ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების გადიდების საკითხებზე ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს წევრი ქვეყნების თათბირის შედეგები, პოლიტბიუროს აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაგრძელდეს ამ საგენტოსთან საბჭოთა ორგანიზაციების ურთიერთობის განვითარების ხაზი მისი საქმიანობის ყველა მიმართულებით და, უწინარეს ყოვლისა, ატომური ენერგეტიკის სტაბილური და უსაფრთხო განვითარების საერთაშორისო რეჟიმის შექმნის საკითხებზე.

პოლიტბიუროს განიხილა მალაგასის რევოლუციის ავანგარდის პარტიის გენერალურ მდივანთან, მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტთან დ. რაციერაკასთან ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვის, ა. ა. გრომიკოსა და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა მოლაპარაკების დროს დადასტურებული თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების საკვანძო პრობლემებისადმი ორი ქვეყნის საერთო მიდგომა. მოიწონეს საბჭოთა კავშირ-მალაგასის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების გეზი.

მოისმინეს ამხანაგ მ. ს. სოლომენცევის ინფორმაცია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ და ამხანაგ ნ. ნ. სლიუნკოვის ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის შედეგების თაობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა პარტიული ცხოვრებისა და სახელმწიფო მშენებლობის ზოგიერთი სხვა საკითხი, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ წამოყენებული ფართო მასშტაბის სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების მიმდინარეობა.

ᲒᲐᲡᲐᲜᲗᲕᲔᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ — ᲓᲘᲓᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ადამიანების პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას, მათთვის დიდი ოქტომბრის მონაპოვრების იარაღით ხელში დაცვის მზადყოფნის ჩინერგვას პარტია მიიჩნევს მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდმნიშვნელოვან ნაწილად. ეს კიდევ ერთხელ აღინიშნა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სხდომაზე. მან განიხილა სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის მუშაობის მდგომარეობისა და მისი სრულყოფის გზების საკითხი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. მ. ბაგიროვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, არმიის გენერალი მ. მ. ზაიცევი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ი. შირინკინი, აგრეთვე სხდომაზე მოწვეული ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობათა წევრები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

მოხსენებით გამოვიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი — ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნ. კლეიმენოვი.

ოლქის სამხედრო საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. მ. ბაგიროვი, არმიის გენერალი მ. მ. ზაიცევი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულეკინი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. შ. ვასაძე, აზერბაიჯანის სსრ სამხედრო კომისარი, გენერალ-მაიორი ა. ა. კასიმოვი, სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ე. ს. გაბრიელიანი, საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ავიაციის გენერალ-მაიორი გ. ვ. ნანეიშვილი, სომხეთის სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ს. კატაჯიანი.

წვევამდელ და გასაწვევ ახალგაზრდობასთან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ყოველმხრივ მოსამზადებლად მუშაობაში, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, უპირველეს მნიშვნელობას იძენს ჭაბუკების მიერ სკოლებში, სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, დოსააფის ორგანიზაციებში მიღებული სამხედრო ცოდ-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲕ.)

ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში ე. ტელმანის სახელობის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადის, თანამიმდევარი ინტერნაციონალისტის ძეგლის საზეიმო გახსნას მიეძღვნა.

გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ელცინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. თ. დობრინინი და ვ. ა. მედვედევი, მთელი რიგ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ძეგლის გახსნაზე ჩამოვიდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ჰ. მისი, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ჰ. შმიტი, ე. ტელმანის ქალიშვილი ირმა გაბელ-ტელმანი.

მიტინგი გახსნა ბ. ნ. ელცინმა.

მ. ს. გორბაჩოვმა და ე. ჰონეკერმა გაჭრეს ძეგლთან გადაჭიმული წითელი ლენტი. ქანდაკებას ჩამოშორდა საბურველი.

შეკრებილთა თვალწინ გადაიშალა წითელი გრანიტის კვარცხლბეკზე აღმართული ერნსტ ტელმანის ბრინჯაოს ფიგურა. მას აღუმართავს მომუშტული ხელი „როტ ფრონტის“ მისალმების ნიშნად.

სრულდება საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მიტინგზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

ძეგლი, რომელსაც ჩვენ დღეს ვხსნით, თქვა მან, განასახიერებს იმ ადამიანის გმირობას, რომელიც ერთ-ერთი პირველი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ფაშიზმის საბნელ ძალებს.

სამყარო, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ და ვიბრძვით, არ ემგავს იმას, რომელშიც ცხოვრობდა და იბრძოდა ერნსტ ტელმანი, აღნიშნა შემდეგ ორატორმა. ძირეულად შეიცვალა მსოფლიოს პოლიტიკური სახე, სოციალური და ეროვნული ძალების თანაფარდობა და განაწილება.

და მაინც, მიუხედავად ამ ღრმა ცვლილებებისა, კვლავ ცოცხლობს ტელმანის იდეები, მისი ცხოვრების გაკვეთილი, მისი გაფრთხილება ფაშიზმისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მიტინგის დროს.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ახლა ჩვენი ვალია გავაფრთხილოთ მსოფლიო საზოგადოებრიობა: გამალებული შეიარაღების შედეგად მშვიდობისა და ომის გამყოფი ტიხარი სულ უფრო სიფრიფანა ხდება. და ჩვენ კვლავ ვიმეორებთ: კოსმოსის მილიტარიზაცია — ეს არის ომის გზით გადადგმული ნაბიჯი. ჩვენ მოვუწოდებთ ყველას ბოლო მოუღონ ბირთვულ გამოცდას და სერიოზულად, მასშტაბურად შევუდგეთ ბირთვული იარაღის მარაგის შემცირებას.

ომისა და მშვიდობის საკითხებში თანამშრომლობა და ურთიერთგაგება ბირთვულ-კოსმოსური ეპოქის მოთხოვნაა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ კვლავაც პატიოსნად და ენერგიულად განვაგრძობთ ამისადმი სწრაფვას, ვეძიებთ ომის საფრთხის აღმოფხვრის პოლიტიკურ გზებს, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

სწორედ ამ მოსაზრებებით არის ნაკარნახევი პრეზიდენტ რ. რეიგანისათვის შეთავაზებული ჩვენი წინადადება — მოვაწყოთ, ასე ვთქვათ, სამუშაო შეხვედრა. ჩვენ აქ გვაქვს ერთი მიზანი — შევუდგეთ ბოლოს და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ქენევაში მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციას. ვფიქრობ, ეს სრულად შეესაბამება როგორც საბჭოთა და ამერიკელი ხალხების, ისე მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს.

მომავალ კვირაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აღნიშნავს თავისი დაბადების დღეს, თქვა მან შემდეგ. ვსარგებლობ შემთხვევით, რათა რესპუბლიკის მშრომელ ხალხს მივულოცო დიდი დღესასწაული და ვთხოვო ამხანაგ ერიხ ჰონეკერს ყოველივე საუკეთესო უსურვოს ჩვენი სახელით თანამემამულეებს.

ამ ტრიბუნიდან, ტელმანის ძეგლთან, ვთხოვ ამხანაგებს ჰერბერტ მისსა და ჰორსტ შმიტს გადასცენ ჩვენი მგზნებარე სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის კომუნისტებს, ახალ პირობებში მისი საქმეების განგრძობებს.

ტრიბუნაზეა ე. ჰონეკერი. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ხორციელდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის მიწა-წყალზე პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში, მარქსის, ენგელსისა და ლენინის იდეები, რომელთა ერთგული იყო სიცოცხლის ბოლომდე ე. ტელმანი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისი აწმყოსა და მომავლის წარმატებით შენების საქმეში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის ღვაწლი საქმე გახდა მისი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. მის მხარდამხარაც იბრძვის იგი მშვიდობისათვის.

ჩვენი ხალხი მსოფლიო მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის უაღრესი მნიშვნელობის მოვლენად აღიქვამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის რეიკავიკის მომავალი შეხვედრის ცხობამ ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ხალხებს მიაჩნიათ, რომ ამ შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების გზით წინსვლას.

გაიმართა აზრთა გაზიარება იმ კონსტრუქციული ინიციატივების რეალიზაციის შესაძლო გზების შესახებ, რომლებიც მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა. ეს ინიციატივები ეხება ბირთვული იარაღისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებასაც.

შემდეგ გამოვიდა ჰ. შმიტი. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი ე. ტელმანი ნიადაგ უწევდა პროპაგანდას ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედი საბჭოთა მშრომელების დიად რევოლუციურ მიღწევებს და ეს მონაპოვარი კაცობრიობის ნათელ მომავლად მიაჩნდა. ჩვენ, დასავლეთბერლინელი კომუნისტები, ხაზგასმით აღნიშნა მან, დღეს ვისწრაფვით ამ მემკვიდრეობის ღირსნი ვიყოთ.

მიტინგზე გამოვიდა მოსკოვის ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის შიგნიარხავ ხარატა ბრიგადირი ვ. პ. ტიხომიროვი. მიმდინარე წლის გაზაფხულზე, თქვა მან, მე დამდეს პატივი მონაწილეობა მიმეღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობის მუშაობაში. ჩემზე უდიდესი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებმა — ეს ერნსტ ტელმანის ანდერძის ხორცშესხმაა. გერმანიის მიწა-წყალზე ძმური შეხვედრების დროს ჩვენ შეინგრძენით ჩვენი ხალხების დარაზმულობის მძლავრი, ქმედითი ძალა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა გადწყვეტილება — კვლავაც განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერება. შემიძლია აღგითქვათ, რომ მოსკოველ მუშებს, სსრ კავშირის ყველა მშრომელს სრულად აქვთ შეგნებული თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა.

მიტინგი დამთავრებულია.

მოედანს მოეფინა „ინტერნაციონალის“ ჰანგები.

ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

* * *

ე. ჰონეკერმა გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.

გვირგვინები მოიტანეს აგრეთვე ამხანაგებმა ჰ. მისმა და ჰ. შმიტმა.

სტუმრებთან ერთად იყვნენ ა. თ. დობრინინი, ვ. ა. მედვედევი, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

ამავე დღეს გაიმართა სადილი ე. ჰონეკერის, ჰ. მისისა და ჰ. შმიტის პატივსაცემად.

სტუმრებთან ერთად იყო ი. გაბელ-ტელმანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ მ. ს. გორბაჩოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ბ. ნ. ელცინი, ა. თ. დობრინინი, ვ. ა. მედვედევი, სხვა ოფიციალური პირნი.

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲰᲔᲜᲒ ᲡᲐᲛᲠᲘᲜᲡ

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო შეხვდა კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ჰენგ სამრინს, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იმყოფება.

ა. ა. გრომიკომ ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც სსრ კავშირში ხორციელდება საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის გატარებისათვის სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ჰენგ სამრინმა თქვა, თუ როგორ ასრულებენ კამპუჩიელი მშრომელები უძველესი კამპუჩიის მიწა-წყალზე ახალი საზოგადოების მშენებლობის ამოცანებს, რომლებიც კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის V ყრილობამ დასახა.

ორივე მხარემ ღრმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება პარტიებისა და სახელმწიფოების ურთიერთობა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განუხრელად გააფართოონ საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების განხილვისას მთავარი ყურადღება დაეთმო იმას, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ, ყველა ხალხმა კიდევ უფრო გააქტიუროს მოქმედება და დაიარაღების მშვიდობისათვის, ბირთვული გამოცდის შეწყვეტისათვის, მომავალი საუკუნის დამდეგს მასობრივი მოსპობის იარაღის სრული ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად.

ორივე მხარემ ღრმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის რეიკავიკის მომავალი შეხვედრის ცხობამ ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ხალხებს მიაჩნიათ, რომ ამ შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების გზით წინსვლას.

გაიმართა აზრთა გაზიარება იმ კონსტრუქციული ინიციატივების რეალიზაციის შესაძლო გზების შესახებ, რომლებიც მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა ვლადივოსტოკში აზიისა და წყნარი ოკეანის აუზში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის.

— საბჭოთა კავშირმა, — თქვა ა. ა. გრომიკომ, — აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ყველა ქვეყანას მიმართა მოწოდებით ითანამშრომლონ მშვიდობისა და ორმხრივი უშიშროების ინტერესებისათვის. ყოველი ადამიანი, რომელიც ამ მიზანს ესწრაფვის, საბჭოთა ხალხის სახით იპოვის სერიოზულ მოსაუბრესა და პატიოსან პარტნიორს.

საბჭოთა მხარემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არსებული პრობლემების პოლიტიკური გადაჭრის მტკიცე მომხრეა. იგი სოლიდარობს ინდოჩინეთის სახელმწიფოთა მზადყოფნას დაამყარონ უშუალო დიალოგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ასეანის წევრ ქვეყნებთან.

ჰენგ სამრინმა დიდი შეფასება მისცა საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და განაცხადა, რომ კამპუჩია მთლიანად უჭერს მხარს ყველა საბჭოთა მშვიდობიან ინიციატივას.

— ინდოჩინეთის ქვეყნებს, — თქვა მან, — გულწრფელად სწადიათ დაამყარონ სასიკეთო ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან, მოაგვარონ კამპუჩიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ირგვლივ არსებული ვითარება.

ჰენგ სამრინმა დიდი მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირს დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც ნიადაგ უწევს კამპუჩიელ ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ისა მშვიდობიანი შრომის დაცვაში. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ, ᲛᲐᲠᲐᲓ...“

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ შორის თანამშრომლობა უნდა განვამტკიცოთ საერთო მეცადინეობით, საერთო პასუხისმგებლობით, იმის შეგნებით, რომ ეს ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებას, მეგობრობას, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებას — ასეთია მთავარი დასკვნა მწერალთა საერთაშორისო კონფერენციისა, რომელმაც 3 ოქტომბერს დაამთავრა მუშაობა თბილისში.

თანამედროვეობის ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის მ. ა. დუდინის გამოსვლის ლაიტმოტივი, რომელმაც თავის შთაგონებულ სიტყვაში, კერძოდ, აღნიშნა: „და თუ ჩვენ მართლაც გვინდა დავიცვათ ჩვენი დედამიწა და მასზე სიცოცხლის მთელი დიადი მოზაიკა, უნდა ვეძებოთ ერთმანეთს შორის არა განსხვავება, არამედ ნათესაობა, მხოლოდ ნათესაობა...“

ეს აზრი აისახა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მწერალ გ. ნ. ტროეპოლსკის პუბლიცისტურ პოემაში „ტკივილითა და იმედით“. კონფერენციის მონაწილენი ამ ახალი ნაწარმოების პირველი მსმენელები გახდნენ, რომელიც ავტორმა წაიკითხა.

„სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურა ხალხთა მეგობრობის მაცნეა“ — ასეთი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ი. ლომიძის მოხსენების თემა.

ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის, მისი ჰუმანისტური მიმართულების შთამბეჭდავი პანორამა წარმოჩნდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ვ. რ. ასათიანის მოხსენებაში.

ყველა გამოსვლა ერთი აზრით იყო გაერთიანებული: ხელოვანი დღეს ვერ იქნება გულგრილი თანამედროვეობის უმთავრესი პრობლემისადმი — ომისა და მშვიდობის პრობლემისადმი. მწერლები თავიანთი შემოქმედებით კიდევ უფრო აქტიურად უნდა ემსახურებოდნენ კეთილშობილურ მიზანს — პლანეტაზე სიცოცხლისათვის ბრძოლას.

საქინფორმის კორესპონდენტებმა რამდენიმე ინტერვიუ ჩამოართვეს მწერალთა ფორუმის მონაწილეებს, რომლებიც აჯამებენ კიდევ მის შედეგებს.

ᲤᲚᲝᲠᲘᲐᲜ ᲜᲔᲣᲤᲐᲣᲜᲘ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲜᲔᲚᲘ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲗᲐᲠᲯᲛᲝᲜᲔᲚᲘ:

— სოციალისტური ლიტერატურა ყუმბარასა ჰგავს, რომელიც ომის ყორრალ ღრუბელს ფანტავს. ეს ერთხელ კიდევ ცხადყო თბილისის კონფერენციამ. აქ ჩამოვიტანე მოკრძალებული საჩუქარი — „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, რომელიც ლომშია გამოცემული. მე დავწერე მისი წინასიტყვაობა და თანამედროვე ქართველ პოეტთა ნაწარმოებების ერთ-ერთი მთარგმნელი ვიყავი. ამ ბოლო წლების განმავლობაში მოვამზადე სტატიები ქართული პოეზიისა და პროზის — მ. ქვლივიძის, ჯ. ჩარკვიანის, თამაზ და ოთარ ჭილაძეების, ო. ჭელიძის, ნ. დუმბაძის შემოქმედების შესახებ.

დარწმუნებული ვარ, რომ საუკუნეთა სიღრმიდან და სიბრძნიდან მომავალი ქართული ლიტერატურ

ვიყოთ უფრო ახლოს სადღეისო მოთხოვნებთან

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების საკავშირო თათბირი

ქვეყანაში გაშლილი გარდაქმნა სოციალურ შეკვეთას აძლევს საზოგადოებრივ მეცნიერებებს. საზოგადოებაში მომდინარე თვისებრივი, მართლაცდა რევოლუციური ცვლილებები ახლებურ აზროვნებას, პრაქტიკასთან თეორიის შემოქმედებითი კავშირის გაღმტკიცებას, ინიციატივასა და გამბედაობას, მტკიცე და არასტანდარტულ მოქმედებას მოითხოვს.

უმაღლესი სკოლის მეცნიერთა თეორიული საქმიანობის სრულყოფის გზებს, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუჯობესების, მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების, იდეური რწმენის განმტკიცების საკითხებს განიხილავენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების საკავშირო თათბირის მონაწილენი. 2 ოქტომბერს თათბირმა მუშაობა განაგრძო მოსკოვში.

ძლიერდება მასწავლებლის როლი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, იზრდება მისი შესაძლებლობები, თქვა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ **ვ. ვ. რადაევმა.** საზოგადოებათმცოდნეთა შემოქმედებითს პოტენციალს დღენიადაგ უნდა ვინარჩუნებდეთ და ვავითარებდეთ. მისი რეალიზაციის ერთ-ერთი გზაა მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდიკური და მეცნიერული პუბლიკაციები. არადა, ბოლო წლებში საამისო შესაძლებლობები სულ უფრო მცირდება, ხოლო უმაღლეს სასწავლებელთა ზოგიერთი ხელმძღვანელი საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე ნამდვილად შემოქმედებითი ვითარების შექმნის ნაცვლად ცდილობს აიძულოს მასწავლებლები ისხდნენ ინსტიტუტში დღეში ექვს-ექვს საათს, თუმცა იქ არ არის დამოუკიდებელი მუშაობის პირობები. ძნელი გასაგებია, რა შედეგს ელიან ხელმძღვანელები ასეთი „სისტემისაგან“.

სსრ კავშირის კულტურის ministრმა **ვ. გ. ზახაროვმა** უყურადღება მიაპყრო იმ სასწავლებელთა ამოცანებს, სადაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა და დისციპლინათა სწავლების დონეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მან ხაზი გაუსვა, რომ საქმე ეხება ჰუმანიტარული პროფილის სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც დღეს ჩვენი ქვეყნის 76 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ.

მაგრამ ამ უმაღლეს სასწავლებლებში იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას სერიოზული ხარვეზები ახასიათებს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ აქ მეთოდოლოგიური ცენტრების როლს. ზოგჯერ თვით მასწავლებლებიც ვერ იჩენენ საკმარის პრინციპულობას იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებში, ყოველთვის ვერ იძლევიან მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი საქციელის მაგალითს. გარდასაქმნელია თვით სწავლებაც. „საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე, რომლებიც მოწოდებული არიან აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შემოქმედი მოქალაქის ფორმირებაში, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური რეალიზმის იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით მის აღზრდაში.

მინისტრის აზრით, ახლა უმაღლეს სასწავლებელთა წინაშე პასუხსაგები ამოცანები დგება ქვეყანაში ესთეტიკური აღზრდის მოლიანი სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროგრამის რეალიზაციაში არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ იმ მხრივაც, რომ მოამზადონ პრაქტიკული რეკომენდაციები ცალკეული რესპუბლიკების რეგიონალური და ეროვნული თავისებურებების შესაბამისად.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უმაღლეს სასწავლებლთა მეცნიერების როლის გაძლიერების საკითხებს, მიეძღვნა როსტოვის უნივერსიტეტის რექტორის **ი. ა. ულანოვის** გამოსვლა. ამას ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიის უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ცენტრის შექმნამ, რომელმაც რეგიონის უმაღლესი სასწავლებლები გააერთიანა, თქვა მან. ცენტრის შექმნამ შესაძლებელი გახადა სპეციალიზებული განყოფილებების ქსელის ჩამოყალიბება, მონოგრაფიების, საზოგადოებათმცოდნეთა საკითხებისადმი მიძღვნილი ჟურნალის გამოცემა. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დახმარებით ჩვენ გადავწყვიტეთ ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის საკითხი, ინსტიტუტისა, რომელიც რეგიონისათვის დიდად მნიშვნელოვან საზოგადოებათმცოდნეობითს სამეცნიერო-კვლევითს ქვეგანყოფს წარმოადგენს.

მაგრამ ეს პოტენციალი ჯერ საკმარისად არ გამოიყენება. ორატორმა დაასახელა პრობლემები, რომლებიც მეცნიერულ ანალიზს საჭიროებენ — ეკონომიკური ექსპერიმენტის მიმდინარეობა საწარმოებში, ბრიგადული იჯარა სოფლის მეურნეობაში, აგრომრეწვის სტრუქტურათა ჩამოყალიბება. მაგრამ ეკონომისტები, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, არ მიდიან ადგილებზე, უშუალოდ საწარმოებში, ბრიგადებში. ისინი სჯერდებიან სტატისტიკურ ანგარიშებს, და არა ცოცხალ მასალას. მაგალითად, ჩვენ საზოგადოებათმცოდნეებს ვთხოვეთ ემუშავათ ბაზრის საკითხებზე, გაანალიზებინათ კონიუნქტურა, ბაზრის ფასების მერყეობის მიზეზები, დაესახათ მათზე ზემოქმედების მეთოდები. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის მოუკიდია პრაქტიკულად ხელი ვინმეს.

ორატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა საზოგადოებათმცოდნეების ჩაბმა სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში. მან დააყენა საკითხი, რომ უნდა შემუშავდეს სსრ კავშირში კულტურის განვითარების პროგრამა, რომლის ინიციატორები საზოგადოებათმცოდნეები უნდა გახდნენ.

გარდაქმნის საკვანძო რგოლი კადრები, თქვა გორკის უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგემ **ვ. ი. დობროხოტოვმა.** დღეს ცხოვრება მოითხოვს ახალი ტიპის იდეოლოგიურ კადრებს, კათედრებზე კი თვითდინება კადრების საქმეებში ნელა დაიძლევა. ცხადია, სანახევრო ზომები სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. გარდაქმნა გადამწყვეტწლად დამოკიდებულია ახალგაზრდა ძალების მოზიდვაზე, ჩვენი კათედრები კი სულ უფრო და უფრო ბერდებიან.

რატომ ვერ მოგვცა უმაღლესმა სკოლამ მთელი ომისშემდგომი წლების განმავლობაში საზოგადოებათმცოდნეთა შორის ისეთი მასშტაბის პედაგოგი, როგორიც სუხომლინსკი იყო? ალბათ იმიტომ, რომ არ იყო ძიება, ზრუნვა ასეთი ტალანტებისათვის. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის, სწავლების მეთოდიკის საკითხები უმაღლეს სკოლაში სადღაც მესამე პლანზეა, სათანადოდ არ ფასდება პედაგოგიური ხელოვნება და ოსტატობა. სანამ ამას არ გადავლახავთ, სწავლების დონის სერიოზული ამაღლების იმედს ვერ ვიქონიებთ. სწავლების პოლიტიკური სიმძაფრე და ზნეობრივი ძალა — აი რას უნდა ვესწრაფოდეთ.

ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან საზოგადოებრივ მეცნიერებათა კავშირის საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა **ლ. ი. აბალკინმა.** ამას წინათ პარტიულ კრებაზე, თქვა მან, ჩვენი ინსტიტუტის კომუნისტები აანალიზებდნენ იმას, თუ რას ახალისებენ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელი ნამუშევრები იბეჭდება ყველაზე დიდი მოცულობით და ტირაჟით. თურმე, ეს ყოფილა ნამუშევრები, რომლებშიც ტექნიკურ-ტექნოლოგიურ დამოკიდებულებათა ანალიზი სჭარბობს სოციალურ-ეკონომიკურ ანალიზს, ან გამოკვლევები, რომლებიც მჭვრეტელობითს კონსტრუქციებს, სინამდვილისადმი აბსტრაქტულ-სქოლასტიკურ მიდგომას ეყრდნობიან. თუ ასეთ რამეს ახალისებენ, შესაბამისი პროდუქციაც იბადება. ბოლო უნდა მოვუღოთ ახალ მოთხოვნებთან მისადაგების ცდებს, ხაზი გაუსვა ორატორმა. არადა, ხშირად ხდება ხოლმე ასე: დაიწერა ნაშრომი ორი-სამი წლის წინ, იდეებიც მოძველდა, აზრებიც, სახელწოდება კი ახალია. თემა თითქოს აქტუალურია, მაგრამ, უფრო გულდასმით თუ დაკვირდები, სიახლის ნიშაწყალი არ ეტყობა. ესეც კონიუნქტურული მიდგომის, წამოჭრილ პრობლემებთან გარეგნული მისადაგების ცდაა.

ცხოვრებისაგან თეორიის ჩამორჩენისთან ერთად, თქვა ორატორმა, არსებობს სხვანაირი მოწყვეტაც — პრაქტიკის მოწყვეტა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დასკვნებისაგან. საზოგადოებრივ მეცნიერებათათვის მთელი პასუხისმგებლობის დაკისრების ცდა ხელს გვიშლის დავინახოთ ის სერიოზული სოციალური წინააღმდეგობანი, რომლებიც მართლაც ალკოლებენ ჰუმანურესულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს.

საზოგადოებათმცოდნეთა კადრების მომზადებასთან დაკავშირებული ფართო წრის პრობლემები განიხილა თავის გამოსვლაში ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ლ. კ. შეპეტისმა.** ეს მუშაობა ნიადაგ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უყრადღების ცენტრშია. ჩვენ კარგად ვიყენებთ საზოგადოებათმცოდნეთა ლექტორულ ნიჭს, თქვა მან. მაგრამ იშვიათად ვაბამთ მათ მიზნობრივი კომპაქტური პროგრამების შესრულებაში. მეცნიერული ნამუშევრებისადმი მომთხოვნელობა უნდა შევუხამოთ საზოგადოებათმცოდნეთა დასკვნების მიმართ ყველაზე უყრადღებიან დამოკიდებულებას, რათა მათ რეკომენდაციებს უწინდელივით არ ვამწყვლებდეთ ჩვენს სიფიფქეში. ამ საქმეში გარკვეულ იმედს ვამყარებთ პარტიულ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების სტაჟირებაზე. მათ პარტიულ კომიტეტებს უნდა წარუდგინონ რეკომენდაციები, წინადადებანი იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის სრულყოფის შესახებ, დაგვეხმარონ წამოჭრილი მწვავე საკითხების გადაწყვეტაში, ოპერატიულად შეისწავლონ საზოგადოებრივი აზრი.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა შემუშავდეს ყველა აქტუალური საკითხის გამო საზოგადოებათმცოდნეთა ინფორმირების სისტემა, რაც მათ დაეხმარება აღმზრდელობით და პროპაგანდისტულ მუშაობაში.

სამწუხაროდ, ცოტა გვყავს ნამდვილი მასწავლებლები — ფილოსოფოსები, რომელთაც უნარი შესწევთ ახალგაზრდა აღანთონ ჭეშმარიტების ძიებისათვის, თქვა სსრ კავშირის მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრთან არსებული ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სკოლა-სტუდიის რექტორმა **ო. პ. ტაბაკოვმა.** ცნობილმა მსახიობმა, რომელიც ახლანან თეატრალური უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი გახდა, დამსწრეთ გაუზიარა აზრები შემოქმედებითი ცვლის ფორმირების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადამიანს ზრდის მთელი ჩვენი ცვალებადი ცხოვრება და ის, თუ როგორ შეეფარდება საზოგადოებაში სიტყვა და საქმე ერთმანეთს, ზრდის უფროსების თითოეული ნაბიჯი, ყოველი ტელეგადაცემა, თითოეული მართალი თუ ყალბი სიტყვა. ადამიანის მსოფლმხედველობა სხვადასხვა საგნის ცოდნა კი არა, გრძნობების, ურთიერთობის სისტემაა, რომელსაც ფესვები აქვს გადგმული ეროვნულ ნიადაგში, შენი ქვეყნის ცხოვრებაში, შენს მიწაში, აღნიშნა მან.

მრავალი წლის მანძილზე ჩვენ ძირითადად გვსურდა მოსწავლეებისათვის რაღაც ცოდნა მიგვეცა ისეთ საგნებში, როგორიც არის დიამატი, ისტმატი, მეცნიერული კომუნიზმი, პარტიის ისტორია, მაგრამ სრულიად გვავიწყდებოდა, რომ ადამიანს უნდა შეასწავლო ჭეშმარიტების სიყვარული. ხშირად ცოცხალი დიადი რევოლუციური მოძღვრების ნაცვლად ჩვენ მათ ვაძლევთ სქოლასტიკურ ცოდნას, რომლებიც ზოგჯერ ფარავენ ყველა სერიოზულ საჭირბოროტო საკითხს. ეს საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართ ადამიანების თუ ცინიზმს არა, გულგრილობას მაინც იწვევდა. რა უნდა ვქნათ ახლა, რომ დავიბრუნოთ ახალგაზრდობის ნდობა? მიგვაჩნია, რომ მოსწავლეებს უნდა ველაპარაკოთ ცხოვრებაზე მზა რეცეპტების გამოუწერლად, შევეცადოთ გავერკვეთ იმ საკითხებში, რომლებსაც ისინი აყენებენ, ტრფიალებენ და არა, არსებითი პასუხი გავცეთ, და არ გვეშინოდეს მწარე სიმართლე ვუთხრათ დროისა და საკუთარი თავის შესახებ. და არ უნდა გვეშინოდეს იმ პასუხისმგებლობისა, რომელსაც ჩვენ, პედაგოგები ვკისრულობთ. და კიდევ აუცილებელია, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თვითაღზრდით დაიწყოს — უამისოდ ვერაფერს მოვთხოვთ ჩვენს მოწაფეებს, რომელთა გონებასა და სიხდისს მივმართავთ დღეს.

პარტია მოითხოვს ჩვენგან ვრცელ ფილოსოფიურ განზოგადებებს, სოციალისტური საზოგადოების დიალექტიკის, თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალური თეორიული პრობლემების ღრმა დამუშავებას, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **პ. ნ. ფედოსეევმა.** თეორიული პრობლემების დამუშავებაში მთავარი ნაკლი ის არის, აღნიშნა მან, რომ დიალექტიკისა და პოლიტიკური ეკონომიის კანონებს სოციალიზმს უსადაგებდნენ საკმაოდ აბსტრაქტულად, ზოგადი ფორმით, ისე რომ არ ანალიზებდნენ ცხოვრებაში მათს მოქმედებას. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები რკინის კანონები კი არა, ობიექტური ტენდენციებია, რომლებიც ელინდება არა ავტომატურად, ადამიანების გარეშე, არამედ ადამიანების მეშვეობით. იმან, რომ სათანადოდ ვერ შეავფასეთ ეს ფაქტორი, მსოფლმხედველობაში დაამკვიდრა თვითდამშვიდება, სოციალიზმის უპირატესობებისა და შესაძლებლობების ავტომატურ მოქმედებაზე დანდობა.

შეეხო რა ადამიანის ფაქტორის გააქტიურების აუცილებლობის საკითხებს, ორატორმა აღნიშნა, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა, განსაკუთრებით იმ გამოკვლევებმა, რომლებიც ეხება შრომისა და ყოფის პირობებს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. ბოლო დროს, თქვა მან, რამდენადმე გააქტიურდა სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების მუშაობა მთელ რიგ საწარმოებში. ამან მნიშვნელოვანი ეფექტი მოახდინა მუშების პროფესიულ ორიენტაციასა და ადაპტაციაზე, მუშა ძალების დენადობის დაძლევაზე, შრომითი კოლექტივების ცხოვრების შესწავლაზე. ურიგო არ იქნება თუ აკადემიური დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლების კათედრები ხელს შეუწყობენ საწარმოებში და კოლმეურნეობებში სოციოლოგიური სამსახურების განვითარებას, უფრო ფართოდ ჩაბამენ ამ მუშაობაში ასპირანტებსა და სტუდენტებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება იმისათვის, რომ ისინი ვაზიარონ კვლევით მუშაობას, გავარკვიონ პრაქტიკული ცხოვრების პრობლემებში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს მიუძღვნა გამოსვლა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ი. ს. კარაბასოვმა.** ამ მიმართულებით პარტიული კომიტეტების მუშაობის ნაკლი ის არის, რომ არ გვაქვს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკასთან საზოგადოებათმცოდნეების კავშირს, თქვა მან. სათანადო დონეზე არ არის პარტიული მუშაკებისა და საზოგადოებათმცოდნე მასწავლებელთა ყოველდღიური ურთიერთმოქმედება.

ორატორმა განაცხადა, რომ პარტიული მუშაკები იშვიათად ხვდებიან კათედრების მეცნიერებს. მან ნაკლად მიიჩნია ის ფაქტიც, რომ რამდენიმე წლის წინათ საქმიანობა შეწყვიტა საზოგადოებათმცოდნე მასწავლებლების საქალაქო სემინარებმა და მათი მუშაობის აღდგენას ახლაღა აპირებენ.

შემდეგ ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ გარდაქმნას უწინდებურად ამუხრუჭებს მარქსიზმ-ლენინიზმის „წიგნით“ ცოდნა. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების, ყველა კომუნისტის მთავარი ამოცანაა იზრუნონ ისეთ სპეციალისტთა ჰარმონიული აღზრდისათვის, რომლებსაც შეეძლებათ პრაქტიკულად გამოიყენონ დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგია.

ჩვენ აგრეთვე უნდა განვაცხადოთ, განაგრძო ორატორმა, რომ საზოგადოებათმცოდნეობის კათედრებზე კვლავ რთულად არის კრიტიკული ანალიზის, განსაკუთრებით პერსონალური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საქმე. სჭარბობს თვითდამშვიდება, მიესწრაფება მოერგონ გარდამავლობას თავის შეუწუხებლად ძირითადად იმ გზით, რომ ფონს ვაგიდნენ თანამედროვე სიტყვიერი კონსტრუქციების აქტიური ძიების წყალობით.

დღეს პარტიის საქალაქო კომიტეტი სახავს ამოცანას განგაძოს მუშაობა საზოგადოებათმცოდნეთა კადრებთან, პერსონალურად ადევნოს თვალი მეცნიერების დოქტორთა მომზადებას, გაფართოოს საზოგადოებათმცოდნე სტუდენტებისა და ასპირანტების შერჩევის მიზნობრივი პრინციპები.

გაიმართა სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის სექციების სხდომები.

(საკძესი).

გაცხარებული რთველია გურჯაანის რაიონის ახაშენის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. წლეულს აქ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 1600 ტონა ყურძენი.

სურათზე: ზრომთოს მეტოქეობას სათავეში უდგას კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა (მარცხნიდან): ბრიგადირი დალი გოგაშვილი, მევენახეები თამარ ბულიაშვილი, ნინო ხუნჯუაშვილი და მაია ბუხიაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გასაწვევ ახალგაზრდობასთან მუშაობას — დიდი ეფექტიანობა

(დასასრული)

ნის ამაღლება, ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობა, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სრულყოფა, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ფართოდ გაშლა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა დასავლეთის აგრესიული წრეები ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით ყოველნაირად ამძაფრებენ საერთაშორისო ვითარებას, ბირთვული ომის უფსკრულსაკენ უბიძგებენ მსოფლიოს.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო, მეთაურები, პოლიტორგანოები, შტაბები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აქტიურად მუშაობენ, რათა ახალგაზრდობას განუვითარონ საბჭოთა სამშობლოს უშიშროებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, მისი ინტერესების დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან გაწვეულთა უმრავლესობა პირნათლად და ღირსეულად იხდის მხედრულ და ინტერნაციონალურ ვალს, ბეჯითად ეუფლება სამხედრო საქმეს. ბოლო ხანს გაიზარდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მკვიდრ ეროვნებათა წარმომადგენელი ჯაბუკების სურვილი შეიდნენ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში.

ამავე დროს არმიაში სამსახურისათვის ჯაბუკების მომზადების მიღწეული დონე და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობა რომ შეაფასა პარტიის XXVII ყრილობის, მოთხოვნათა საწყაოთი, სამხედრო საბჭომ აღიარა, რომ ეს მუშაობა შემდგომ გაუჯობესებას და გარდაქმნას საჭიროებს.

ბრძოლა, ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობა, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სრულყოფა, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ფართოდ გაშლა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა დასავლეთის აგრესიული წრეები ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით ყოველნაირად ამძაფრებენ საერთაშორისო ვითარებას, ბირთვული ომის უფსკრულსაკენ უბიძგებენ მსოფლიოს.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო, მეთაურები, პოლიტორგანოები, შტაბები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აქტიურად მუშაობენ, რათა ახალგაზრდობას განუვითარონ საბჭოთა სამშობლოს უშიშროებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, მისი ინტერესების დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან გაწვეულთა უმრავლესობა პირნათლად და ღირსეულად იხდის მხედრულ და ინტერნაციონალურ ვალს, ბეჯითად ეუფლება სამხედრო საქმეს. ბოლო ხანს გაიზარდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მკვიდრ ეროვნებათა წარმომადგენელი ჯაბუკების სურვილი შევიდნენ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში.

ამავე დროს არმიაში სამსახურისათვის ჯაბუკების მომზადების მიღწეული დონე და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობა რომ შეაფასა პარტიის XXVII ყრილობის, მოთხოვნათა საწყაოთი, სამხედრო საბჭომ აღიარა, რომ ეს მუშაობა შემდგომ გაუჯობესებას და გარდაქმნას საჭიროებს.

ბრძოლა, ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობა, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სრულყოფა, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ფართოდ გაშლა. ეს ამასთან დაკავშირებით ახალი, ოლონ ამ მუშაობის შედეგები ჰედაგოგებისა და „ყველა დაინტერესებული ორგანოს მონაწილეობით. სამხედრო კომისარიატებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობისადმი, გამორიცხონ არაკვალიფიციური შემოწმებები, არ დაუშვან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან იმ თანამდებობის პირების მოწყვეტა, რომლებიც გასაწვევებთან მუშაობენ.

საჭიროდ იქნა მიჩნეული მუშაობის გაუჯობესება დოსაფის სისტემასა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში. სასწავლო-აღმზრდელობთ პროცესში უფრო ფართოდ უნდა ინერგებოდეს სწავლების თანამედროვე საშუალებები და მეთოდები, მაღლდებოდეს მასწავლებელთა, საწარმო სწავლების ოსტატთა კვალიფიკაცია.

ჯარების დიდი აღშურვილობა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით, მოქმედება სწრაფად ცვლად ვითარებაში დიდ მოთხოვნებს უყენებს მეომართა ფიზიკურ განვითარებას და ჯანმრთელობას. ამიტომ საჭიროა, რომ წელიადელი და გასაწვევი ასაკის ყველა ჯაბუკი რეგულარულად მისდევდეს ფიზკულტურასა და სპორტს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ყველა სასწავლებელში იყოს საჭირო მოწყობილობით და ინვენტარით აღჭურვილი სპორტული კომპლექსი. დიდად მნიშვნელოვანია, რომ არმიაში გაწვეულის დროისათვის თითოეული ჯაბუკი ეუფლებოდეს საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“.

როგორც მუშაობის პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, თქვეს ორატორებმა, ახალგაზრდობის აღზრდის საერთო სისტემაში ჯერ კიდევ არასაკმარისია სამხედრო-პატრიოტული მიმართულების ღონისძიებათა ხვედრითი წილი, ისინი არასრულად მოიცავენ ახალგაზრდობას, ვლინდება ფორმალიზმი ზოგიერთი სკოლის, სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, ტექნიკუმისა და სამხედრო კომისარიატის მუშაობაში, ზოგან მსა ციკლური ხასიათი აქვს, წარმოებს მხოლოდ დღესასწაულებისა და იუბილეების წინ და ამასთან უურადღება მახვილდება მასობრიობაზე, კონკრეტული ახალგაზრდა კი უყურადღებოდ რჩება.

სამხედრო საბჭომ მეთაურებს, პოლიტორგანოებს, შტაბებს, სკოლებს, სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და ტექნიკუმების ხელმძღვანელებს, სამხედრო კომისრებს რეკომენდაცია მიეცათ დაამყარონ მჭიდრო ორმხრივი კონტაქტი, ფართოდ დაეხმარონ სასწავლებლებს სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ვაქციაობის გაკვეთილების ჩატარებაში, მათ მონაწილეობაში შრომითსა და სასწავლო კოლექტივებში გამართულ ლექციურ პროპაგანდაში. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გაღრმავდეს სამხედრო-პატრიოტული მაზანდასახულობა, ინფორმაციულობა, მივაღწიოთ პოლიტიკური, ზნეობრივი და ინტერნაციონალური აღზრდის ერთიანობას.

ახალგაზრდობას უფრო ხშირად უნდა იწვევდნენ ნაწილების წლიურ დღესასწაულებზე, უჩვენებდნენ თანამედროვე ტექნიკას, იარაღს, აცნობდნენ საბრძოლო შესაძლებლობებს. მასწავლებლებს მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარება უნდა ეწეოდეთ სამხედრო-სპორტული თამაშების „აისისა“ და „მართვეს“ ორგანიზაციასა და მოწყობაში, საბრძოლო დიდების ოთახებისა და კუთხეების შექმნაში, სპორტის სამხედრო-გამოყენებითი სახეობების მიხედვით შეჯიბრებათა გამართვაში.

სამხედრო საბჭოს სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ძალზე მნიშვნელოვანი სფეროა წვევამდელთა ჩაბმა შრომითსა და საზოგადოებრივ მუშაობაში, სამხედრო კომისარიატების უფრო მჭიდრო კავშირი ჯაბუკების მშობლებთან და იმ კოლექტივებთან, სადაც ახალგაზრდობა შრომობს. სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში მეტი წვლილი უნდა შეჰქონდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კლუბებსა და ბიბლიოთეკებს. უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ ახალგაზრდობასთან ომისა და შრომის ვეტერანებმა, თადარიგის მეომრებმა, რომლებმაც ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდულ კონტინგენტის შემადგენლობაში.

განხილული საკითხის გამო მიღებულია დადგენილება.

(საქინფორმი).

ბარდაქმნა და დაჩქარება, რასაც პარტია მოითხოვს ყოველ რგოლში, ბევრად აინს დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი განწყობილებით შრომობს თითოეული კოლმეურნე, სოფლის მშრომელი თავის სამუშაო უბანზე.

სწორედ ამ საკითხს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ყოფილ ზონის სოფელ მუხურის კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა. რა დასამალია, ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, კოლმეურნეობაში იყვნენ ისეთი ხელმძღვანელი კომუნისტები, რომლებიც თავიანთი უმოქმედობით გამოწვეულ მარცხს ხშირად მიაწერდნენ ობიექტურ სიძნელეებს. ისინი უფრო ხშირად წუწუნებდნენ და გაუბედავად მოქმედებდნენ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ასეთ ხელმძღვანელ-კომუნისტებს პარტიული კომიტეტის სხდომაზე და კრებაზე ნამდვილი ბრძოლა გამოვუცხადეთ. მათი საკითხი მწვავედ დავსვით, ვუთხარით, რომ ან იმუშაონ ისე, როგორც საჭიროა, ან ჩამოგვშორდნენ გზიდან. მაგალითად, კომუნისტი მ. ვარდოსანიძე კოლმეურნეობის ერთ-ერთი საბრიგადო პარტიული ორგანიზაციის მდივანია. მან ვერ შეძლო გარდაექმნა ბრიგადის მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. ბრიგადაში წინანდებურად მოისუსტებდა შრომის დისციპლინა. აქ სრულიად არ იგრძნობოდა კომუნისტების ავანგარდული, დამრაზმავი ძალა. ზოგიერთები უპარტიო ამხანაგებს შრომისა და ქცევის ცუდ მაგალითსაც კი უჩვენებდნენ, ხშირად არღვევდნენ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის კომუნისტ ა. ბარბაქაძეზე. იგი სამუშაოზე ცხადდებოდა ნასვამი, ზოგჯერ არასაპატიო მიზეზით აცდენდა საბრიგადო პარტიული ორგანიზაციის კრებებს, აქტიურად არ მონაწილეობდა განსახილველი საკითხების მომზადებაში, თავს არიდებდა კამაში გამოსვლას.

პარტიული ორგანიზაციის მდივანს მ. ვარდოსანიძის საკითხი პარტიული კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ. კომუნისტებმა იგი გააანალიზა გააწითლეს უმომქმედობისათვის. იგი ამჯერად ვერც პარტიულ სასჯელს გადაურჩა: კრებამ მ. ვარდოსანიძეს საყვედური გამოუცხადა.

ამ პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში გარკვევა, მიღებული ქმედითი ღონისძიება კარგი მაგალითი გახდა სხვებისათვის. ამით სხვა ბრიგადებშიც ვამყარებთ წესრიგს და დისციპლინას, ვაუჯობესებთ ადგილობრივი შრომითი რეზერვების გამოყენების საკითხებს. სწორედ ასეთი ვაიხელმძღვანელი იყო № 5 ბრიგადის პარტიული ორგანიზაციის თავკაცი ნ. ბუაძე, მან ვერ იქნა და ვერ გააკეთა თავისი ბრიგადის წევრები, ბევრი კოლმეურნე წლების მანძილზე ვერ ასრულებდა კაცდღეების გამომუშავების სავალდებულო მინიმუმს, მოისუსტებდა დისციპლინა, რაც მოავარია, რეგულარულად არ იმართებოდა პარტიული კრებები, არ იგრძნობოდა კომუნისტების გავლენა. პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზმორული მუშაობის ჩაშლას სამ

ვეტერანი
ფაქტები • მოვლენები

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

3 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ მიიღო პატრიოტული ფრონტის ზემბაბვეს აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მდივანი, განათლების მინისტრი ზინგანი მუტუმბუკა.

გულთბილად მიესალმა რა სტუმარს, ბ. ვ. ნიკოლსკი მას ესაუბრა ქართველი ხალხის ისტორიისა და ძველი კულტურის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული გარდაქმნების შესახებ, რომლებიც მიღწეულია სოციალისტური შენებლობის წლების მანძილზე.

სტუმარს გააცნეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა, ის, თუ როგორ ახორციელებენ საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორ ასრულებენ ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის გარდაქმნის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებს.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ფართო მასშტაბისა და კონსტრუქციულ ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაცია, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცება.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე.

* * *

ზინგანი მუტუმბუკა გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვია თბილისის №1 საშუალო სკოლასა და სადღესასწაულო რიტუალების სასახლეს. სტუმარი ესაუბრა საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ნ. შ. ვასაძეს, რომელმაც მას გააცნო, თუ როგორ ხორციელდება რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის რეფორმა.

● ●

მცნობა საქართველოს

3 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. რ. პოკოკი, რომელიც გაცნობის მიზნით მოგზაურობს საქართველოში.

საუბრის დროს ო. ე. ჩერქეზიამ სტუმარს გააცნო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტივები, მისი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები, კადრების მომზადების ამოცანები. იგი შეეხო გადასაწყვეტ პრობლემებს, მათი დაძლევის გზებს.

საუბრის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მომავალ შეხვედრას რეიკიავიკში. გამოითქვა იმედი, რომ იგი ხელს შეუწყობს ორი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებას, გაკვლავს ურთიერთგაგების გზას, განსაკუთრებით განიარაღების დარგში.

ე. რ. პოკოკმა თქვა, რომ საქართველოში მოგზაურობის დროს იგი გრძნობდა საოცარ გულთადობას, კვლავ და კვლავ რწმუნდებოდა ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობაში.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯავახიშვილი.

* * *

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბ. გ. გილაშვილისა და სსრ კავშირში ავსტრალიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ე. რ. პოკოკის საუბარი.

ბ. გ. გილაშვილმა ილაპარაკა ამოცანებზე, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას მეთორმეტე ხუთწლეულის გეგმების შესრულების საქმეში, შეეხო სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სრულყოფის გზებს. მან სტუმარს გააცნო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობა.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს, რომ სურთ გააფართოონ პარლამენტართა კონტაქტები, რომლებიც ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებას, ემსახურება მშვიდობის საქმეს.

გადაიხადა რა მადლობა გულითადი მასპინძლობისათვის, ე. რ. პოკოკმა აღნიშნა, რომ თვალსაჩინოდ დარწმუნდა ქართველი ხალხის მნიშვნელოვან მიღწევებში, იმაში, რომ იგი გულწრფელად ესწრაფვის ქვეყნად მშვიდობას. მან თქვა, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ ავსტრალიაში საქართველოს, ცხოვრებისადმი, აღნიშნა ის უდიდესი წარმატება, რომელიც ჰქონდათ რუსთაველის სახელობის თეატრისა და რესპუბლიკის ხალხური ცეკვის ანსამბლის კოლექტივებს ავსტრალიაში გასტროლების დროს.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯავახიშვილი.

* * *

განაგრძობს რა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობას, ე. რ. პოკოკმა დათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყო სადღესასწაულო რიტუალების სასახლეში, მუზეუმებში, ბაგშვთა სურათების გალერეაში, დაესწრო თბილისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრების სპექტაკლებს. იგი ეწვია მცხეთას, სადაც დაათვალიერა კულტურის ძეგლები.

ე. რ. პოკოკი ესაუბრა თბილისის საქალაქო საბჭოს, აღმასკომის თავმჯდომარეს ზ. შ. მესხიშვილს.

(საქინფორმი).

3 ოქტომბერი ● საკავშირო იუწყება

ვეტერანი

ფაქტები • მოვლენები

მსოფლიო იწონებს მორიგებას რეიკიავიკის შეხვედრის შესახებ

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას რეიკიავიკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მომავალი შეხვედრის შესახებ. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პრესის რწმუნებულის განცხადებაში.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მოწმობს მოქმედების იმ გეზის ცხოველუნარიანობას, რომელიც ორმა ქვეყანამ შეათანხმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეენევის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს.

ბერლინი. მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი მიესალმებიან საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის მომავალ შეხვედრას, წერს დღეს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“. რესპუბლიკის მშრომელები პლანეტის მთელ რეალისტურად მოაზროვნე ძალებთან ერთად იღვწიან, რათა გაგრძელდეს ენევაში დაწყებული დიალოგი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ხაზს უსვამს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის ბვერმა წევრმა კმაყოფილებით აღიქვა მორიგება რეიკიავიკში შეხვედრის მოწყობის შესახებ.

„ისლანდიაში შეხვედრის გადაწყვეტილებას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. — განაცხადა წარმომადგენელთა პალატის წევრმა ბილ რიჩარდსონმა. — გვინდა რომ მას კონკრეტული შედეგები მოჰყვეს ისეთი პრობლემების გადაწყვეტის დროს, როგორიცაა შეტევითი ბირთვული შეიარაღების, ბირთვული გამოცდებისა და თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემების გამოცდის, „ვარსკვლავთის ომების“ პროგრამის შეწყვეტა. ჩვენ არ უნდა მოვხვდეთ პოლიტიკური რიტორიკისა და საარჩევნო პოლიტიკანობის მახეში, ადმინისტრაციაში მტკიცე ხაზის მომხრეებმა მახვილი ქარქაშში უნდა ჩააგონ და შეცვალონ იგი სახნისით. სპეირია, ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად დაიწყოს მოლაპარაკება მშვიდობის შესახებ.

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრა უეკეთესობის, ყველა ხალხისათვის უფრო უსაფრთხო მომავლის რწმენას გვისახავს, — განაცხადა აქ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯეიმს ჯექსონმა. საკვლევის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ ჩვენს პლანეტაზე მილიონობით ადამიანი უაღრესად დიდად არის დაინტერესებული მშვიდობითა და განიარაღებით, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილებით. ისინი იმედოვნებენ, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგს საბოლოო ანგარიშით მოჰყვება ამ დარგში ახალი მნიშვნელოვანი შეთანხმებების დადება, რომლებიც ძირფესვიანად შეიცვლიან ახლანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებას. ამჟამად, თქვა ჯ. ჯექსონმა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენენება, თუ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მორიგდებიან ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ, მით უმეტეს, რომ ამის წინამძღვრები უკვე არის.

მახარებს რეიკიავიკის მომავალი შეხვედრის ამბავი, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ლექციის წაკითხვის დროს თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ, ვაშინგტონის თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის დირექტორმა, გენერალმა კონტ-ადმირალმა ჯინ ლაროკმა. მან ხაზი გაუსვა, რომ მისი მოწყობის ხელშემწყობ შესაძლებლობებს სახავს საბჭოთა კავშირის ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, რომელიც უკვე ერთ წელზე მეტია მოქმედებს. ჯ. ლაროკმა „საბჭოთა და აბსურდული“ უწოდა ადმინისტრაციის პოზიციას, რომელიც მოითხოვს ბირთვული გამოცდების განგრძობას და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე კოზირად მის გამოყენებას.

სან-ხოსე. კოსტა-რიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა როდრიგო მადრიგალ ნიეტომ მომავალი შეხვედრა შეაფასა კაცობრიობისათვის დიდი მნიშვნელობის მოვლენად. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმაღლესი დონის მოლაპარაკება უაღრესად საჭიროა ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში.

ეგზოტიკული შეხვედრა

ოტავა. აქ გაიმართა ე. ა. შევარდნაძისა და კანადის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის უ. კაშტანის ამხანაგური საუბარი. ე. ა. შევარდნაძემ უამბო, თუ რა ამშენებლობითს საქმიანობას ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი პარტიის XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. უ. კაშტანმა გააცნო, თუ როგორ იბრძვიან კანადის კომუნისტური პარტია და სხვა პროგრესული ძალები მშრომელთა უფლებებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. საუბრის დროს აღინიშნა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

ე. ა. შევარდნაძე მექსიკაში

მექსიკო, აქ მექსიკის მთავრობის მოწვევითა ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე. საბჭოთა კავშირისა და მექსიკის დროშებით შემკულ აეროპორტში მას დახვდნენ მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. სპუულვედა, მექსიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ო. ფლორეს დე ლა პენნა და სხვა ოფიციალური პირნი. ჩასვლისას ე. ა. შევარდნაძემ ასეთი განცხადება გააკეთა: „ჩვენ დიდი ხალითით ჩამოვედით მექსიკაში. ჩვენ პატივს ვცემთ და ვაფასებთ მექსიკის პოლიტიკურ კურსს საერთაშორისო საქმეებში, მის პოზიტიურ და კონსტრუქციულ წვლილს განიარაღების, მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და კრიზისული სიტუაციების მოწესრიგების პრობლემების გადაწყვეტაში, იმ როლს, რომელსაც იგი ასრულებს მიუმხრობლობის მოძრაობაში, ექვსი სახელმწიფოს საქმიანობაში, კონტადორულ ჯგუფში. ჩვენს ქვეყნებს შორის სისხლსავსე, მტკიცე ურთიერთობა ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მეგობრულ, ერთმანეთისადმი ნდობით გამსქვალულ ურთიერთობას, რომელიც მ. ს. გორბაჩოვსა და მექსიკის პრეზიდენტ დე ლა მადრიდს შორის დამყარდა, მათს პირად მიმოწერას მსოფლიო პოლიტიკის საკვანძო საკითხებზე.“

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

მასობრივი გაფიცვა

პარარე. სამხრეთ აფრიკის პროფკავშირთა კონგრესის მოწოდების პასუხად გუშინ 325 ათასზე მეტმა მეშახტემ მიიღო მონაწილეობა იმ 177 მაღაროელის ხსოვნის აღსანიშნავ გაფიცვაში, რომლებიც 16 სექტემბერს დაიღუპნენ კინროსის ოქროს მაღაროში მომხდარი კატასტროფის დროს, — ეს გამოაცხადა იოჰანესბურგში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მაღაროელთა ეროვნული კავშირის გენერალურმა მდივანმა სირილ რამაფოზამ. სოლიდარობის ნიშნად მას შეუერთდა სხვა პროფესიების 275 ათასი მუშა. მშრომელთა ამ მძლავრი გამოსვლის შედეგად მთელი დღით შეწყდა სამთამადნო მრეწველობის მეტ წილ საწარმოთა, სამხრეთ აფრიკის ინდუსტრიის ზოგიერთი სხვა დარგის წარმოებათა მუშაობა.

პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ს. რამაფოზამ ამ აქციას უპრეცედენტო უწოდა. გაფიცვაში ერთდროულად მონაწილეობდნენ ოქროს მაღაროების, ქვანახშირის შახტების, ქრომის, ალმასის, სხვა ძვირფასი ნედლეული რესურსების მომპოვებელი საწარმოების მუშები.

პრეტორიის ხელისუფლებმა სცადეს რადაც უნდა დასჯდომოდათ ჩაეშალათ გაფიცვა, რომელიც გადაიქცა ნამდვილ საპროტესტო მანიფესტაციად აპარტეიდის სისტემის წინააღმდეგ, სისტემისა, რომელმაც აფრიკელ მოსახლეობას არაადამიანური არსებობის პირობები შეუქმნა. გამოსვლის წინა დღით პოლიციამ ასობით პროფკავშირული ხელმძღვანელი და მოძრაობის აქტივისტი, დაახატმრა ბრალდების წაუყენებლად და ისინი ახლაც საპყრობილეში ჰყავს. ბევრ საწარმოში ადმინისტრაციის მოთხოვნით „წესრიგის ძალები“ ცრემლსადენი გაზის გრანატებითა და ხელკეტებით დაერივნენ მუშებს, რათა ისინი ძალით ჩაეყვანათ შახტებში.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის და პრეზიდენტის მოკვლის ცდა

დელი. დელში სცადეს მოეკლათ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი და ინდოეთის პრეზიდენტი ზაილ სინგი. როგორც ინდოეთის პრეს ტრასტ ოფ ინდიას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მაპათმა განდის დაბადების 117 წლისთავისადმი მიძღვნილი ცერემონიის დროს, რომელსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, სამხედრო ფორმაში გადაცმულმა უცნობმა პირმა სამჯერ ისროლა რევოლვერი. მთავრობის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, არც პრეზიდენტი და არც პრემიერ-მინისტრი არ დაშავებულან. მაგრამ ცერემონიის დამსწრეთაგან ორი კაცი დაიჭრა. მსროლელი დაპატიმრებულია. ინდოეთის დედაქალაქში შემოღებულია უშიშროების მომეტებული ღონისძიებანი. პოლიცია შეუდგა ინციდენტის გარემოებათა გამოძიებას. ენერგეტიკის მინისტრის ვასანტა პ. სათჰის თქმით, რომელიც თან ახლდა რაჯივ განდის, ეს იყო პრემიერ-მინისტრის მოკვლის ბოროტმოქმედი. ... ლ-ცალ აღნიშნავს პრეს ტრასტ ... ინდოეთის ... ინფორმაციისა და პრეზიდენტის მკვლელობის ცდამ გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია მთელ ქვეყანაში. დღეკანდელი სროლა მოწმობს, თუ რა საფრთხე ემუქრება ინდოეთს, ნათქვამია ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის თავმჯდომარის მოადგილის არჯუნ სინგჰის განცხადებაში. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გამოიჩინოს მეტი სიფხიზლე და მთელი არსებით ემსახუროს ეროვნული ერთიანობის, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეს, ხაზგასმულია განცხადებაში.

როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას საგენტო იუწყება, ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის დეპეშები ხალხადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი მოღვაწეებისაგან, რომლებიც მოითხოვენ „აბილონს ინდოეთის ხელმძღვანელთა მოკვლის მიზნით მოწყობილი შეთქმულება, საკადრისი პასუხი გასცენ ეროვნული ერთიანობის მტრებს“.

● სსრკ-გდრ

გაიხსნა საბორნო გადასასვლელი

მუკრანი. ახალი ნათელი ფურცელი ჩაიწერა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ისტორიაში, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებაში, რიუგენის კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცაზეიმო ვითარებაში გადაეცა საექსპლოატაციოდ მუკრან-კლაიპედის საბორნო გადასასვლელი.

ამუშავდა 273 საზღვაო მილი სიგრძის „მეგობრობის ხიდი“, რომელიც განასახიერებს ორი მოძმე ქვეყნის დამპროექტებელთა, მშენებელთა, მეზომალღეთა და ტრანსპორტელთა ერთობლივ შემოქმედების ჩანაფიქრსა და ძალისხმევას. გადასასვლელი შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად ამაღლდეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის საგარეოსავაჭრო გადაზიდვის ეფექტიანობა. მიმდინარე ხუთწლედის დამლევს გადაზიდვის მთელი მოცულობის დაახლოებით მესამედი ამ საბორნო გადასასვლელის წილად მოვა.

...დადგა საზეიმო მომენტი. მძლავრი თბომავალი საზღვაო ბორნის „მუკრანის“ გემბანზე მოაგორებს რკინიგზის შემადგენლობას სსრ კავშირისათვის განკუთვნილი ტვირთით. კაპიტნის ბრძანებით ბორანი მდოვრედ შორდება ნავმისაადგომს, გაისმის გამოსათხოვარი საყვირის ხმა და გემი კლაიპედისაკენ მიემართება.

● გდრ

ჩაამძრო, რომელ შიც იუტა ლინდნერი მუშაობს, პაუზის ხაჭოვ ფაბრიკას ეკუთვნის. რესპუბლიკის საფეიერო მრეწველობის ეს საწარმო, რომელიც ბარშან შემოდგომაზე ამუშავდა, წელიწადში 3,9 მილიონ ქვადრატულ მეტრ ქსოვილს გამოუშვებს.

აღნ-საკადრისი ფოტო.

ფოტოინფორმაცია
სოციალისტურ ქვეყნებში

თანამედროვე ამერიკული იმპერიალიზმის იდეოლოგია — ეს გახლავთ მემარჯვენე კონცეფციების, მილიტარისტული ამბიციებისა და კომუნისტმოსანდმი, საერთოდ ყოველგვარი პროგრესულისადმი, აშკარა სიძულვილის ნარევი, მის გვირგვინად იქცა ყბადაღებული ნეოგლობალიზმის დოქტრინა, რომელიც პრეზიდენტ რეიგანისათვის თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის სპეციალისტებმა შეიმუშავეს და მისი სახელითაც კი მონათლეს. „რეიგანის დოქტრინის“ მთავარი არსი ის არის, რომ „შეერთებული შტატები მზარს დაუპერს ნებისმიერ სახელმწიფოს და ნებისმიერ დაჯგუფებას, რომელიც კომუნიზმის წინააღმდეგ იბრძვის დედამიწის ნებისმიერ წერტილში“.

მსოფლიო ბატონობის პრეტენზიით შეპყრობილი ამერიკული იმპერიალისტური წრეები მის განხორციელების ხერხებისა და მეთოდების მთელ არსენალს ამუშავებენ. როგორია ისინი? ამაზეა საუბარი ყურნალისტ მელორ სტურუას პოლიტიკურ ნარკვევში, რომელიც სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის“ დაიწერა და მკითხველებს ვთავაზობთ.

ПОЛИТИЧЕСКИЙ НАРКВЕВИ

1. ბრაუნის ბუნაგი და „რეიგანის დოქტრინა“

მელორ სტურუა

ქალაქი ბოულდერი, კოლორადოს შტატი. მსხვილბლოკიანი ბეტონის ფილებით ნაგები პატარა ორსართულიანი სახლი, ბუნკერს რომ ჰგავს, შიგნით ქაოსია, როგორც ცხარე ხელჩართული ბრძოლის ან არაკვალიფიციური მაძებრების მიერ მოწყობილი ჩხრეკის შემდეგ. ქაღალდის ნაფლეთები, წერილების დასტები, გადაქექილი გაზეთებისა და ჟურნალების გროვა, კნოპიანი დანის ყუთები. კედელზე გაკრულია გაზეთის სალარძღვავი შინაარსის ამონაჭრები ბუნკერის მფლობელთა მისამართით. მაგალითად: „ეს ჯენტლმენები უბრალოდ დეგენერირებული ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები არიან, რომლებიც ცდილობენ რაიმეს მოკიდონ ხელი ომების შორის პაუზებში“.

გაზეთების ამონაჭრების ზემოთ ბრინჯაოს ფირფიტაა: „ადამიანის სისულელის წინააღმდეგ თვით ღმერთებიც კი უძლურნი არიან. კარლ ფონ კლაუზევიცი“. უფრო ზემოთ — ჩარჩოში მოთავსებული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ მისი მფლობელი მსახურობდა ვიეტნამში სპეციალური დანიშნულების ჯარებში, დაჯილდოებულია „ბრინჯაოს მედლით“, „მეფამული გულით“ და წარჩინების სხვა ნიშნებით. და ბოლოს, მთლად ზემოთ პრიმიტიული მიმეოგრაფიკული წესით დაბეჭდილი პლაკატია: „ვიწვევთ ჩვენს რიგებში, რათა ეწვიოთ შორეულ ქვეყნებს, შეხვდეთ საინტერესო ადამიანებს და დახოცოთ ისინი“.

სალანძღავი გაზეთის ამონაჭრების, კლაუზევიცის აფორიზმის, ჩარჩოიანი მოწმობისა და მიმეოგრაფიკულ-ცინიკური პლაკატის ქვეშ მაგიას უზის შუა ტანის, შეთხელებული ქალართმიანი კაცი. სახეს უფარავს სათვალე, ჩვეულებრივ მფრინავები რომ ხმარობენ ხოლმე, აცვია ჯინსი, ფეხზე — მსუბუქი მაკასინები. დაკუნთულ ტანზე შემოტმასნილი აქვს თეთრი სპორტული პერანგი, რომელზეც წითელი საღებავით წარწერილია: „პარაშუტისტების სიკვდილს თესავენ ციდან“.

ორსართულიანი ბუნკერი ქალაქ ბოულდერში, კოლორადოს შტატში ბანაკემის — „იღბლიანი ჯენტლმენები: პროფესიონალი თავგადასავლების მაძიებელთა ჟურნალის“ რედაქცია გახლავთ, ხოლო კაცი, მფრინავის სათვალე რომ უკეთია და პერანგზე მრავალმნიშვნელოვანი წარწერა აქვს, მისი დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი რობერტ კ. ბრაუნია, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების პოდპოლკოვნიკი, შეთავსებით კოლორადოს უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი.

„იღბლიანი ჯენტლმენები“, რომელსაც „დაქირავებულთა რუპორი“ შეარქვეს, შედარებით ახალი ჟურნალია, მაგრამ მას უდავოდ აყვავების ხანა უდგას, პირველი ნომერი სულ ოთხი ათასი ცალი გამოვიდა, თუმცა წარმატება გასაოცარი იყო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ფოტოსურათმა, რომელზეც აღბეჭდილი იყო მოკლული როდეზიელი მეამბოხე პატრიოტი, თავში ბეისბოლის ბურთის ოდენა შემზარავი გამგოლი ჭრილობა რომ ჰქონდა. მომდევნო ნომრის ტირაჟმა ასი ათასს გადააჭარბა. იგი გამავრცელებლებისა და რეკლამის მიმცემთა საყვარელი ჟურნალი გახდა. ფასმა ორ დოლარს მიაღწია.

სანამ „იღბლიან ჯენტლმენებზე“ ვისაუბრებდეთ, რამდენიმე სიტყვა იღბლიან ჯენტლმენზე, რომელიც ამ ჟურნალს გამოსცემს. ნუ ჩავუღრმავდებით ბრაუნის ბავშვობისა და ყრმობის წლებს და პირდაპირ 60-იანი წლების დამდეგში გადავინაცვლოთ, როცა „ციდან სიკვდილის მთესველი“ ფლორიდის შტატში, ეკვრგლაიდსის სამხედრო ბანაკებში კუბელ ემიგრანტებს წვრთნდა თავისუფლების კუნძულზე შესაჭრელად. ბრაუნი ვიეტნამში აშკარად იბრძოდა, ხოლო პერუში — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ლაბადას ამოფარებული. ჯარისკაცი — მკვლელი და მეცნიერების მაგისტრი ერთნაირად ფლობდა ავტომატსა და საბეჭდ მანქანას, ხანჯალსა და კალამს, და ისინი მუდამ თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

— ჩემთვის სულ ერთია, რა ნარლიყს დაგვკიდებენ, — მკვახედ, მოკრით ამბობს ბრაუნი. — არ ვაპირებ ვიბოდიშო იმისათვის, რომ მილიტარისტებსა და მილიტარიზმს, პოლიციელებსა და დეტექტივებს განვადიდებ, იმისათვის, რომ ძალისა და იარაღის კულტის პროპაგანდას ვეწევი.

ვიდრე ჟურნალს „იღბლიან ჯენტლმენებს“ დააარსებდა, ბრაუნი სათავეში ედგა საგამომცემლო ფირმებს — „პანტერ პაბლიკეიშნზს“, „პალადინ პრესს“, „ფენიქს პრესს“... ბრაუნის ფირმები თესავდნენ ძალმომრეობას, მათი პროდუქცია ავრცელებდა მკვლელობის ხერხებსა და მეთოდებს. იგი შეიცავდა ინსტრუქციებს, თუ როგორ ეწარმოებინათ ხელჩართული ბრძოლა, მოეწყოთ დანალუსული ხაფანგი, საბოტაჟის აქტები, მიყურადების სისტემა...

ერთხელ ბრაუნი ჩვენების მისაცემად სენატის ქვეკომისიაში გამოიძახეს. თურმე, მისი ინსტრუქციებით სარგებლობდნენ მემარცხენე რადიკალური ელემენტები. სამხედრო-საჰაერო ძალების პოდპოლკოვნიკმა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა მაგისტრმა ქედმაღლურად დასცინა კანონმდებლებს და განუმარტა, ნებისმიერ იარაღს, ისევე როგორც ჯოხს, ორი ბოლო აქვს, მთელი ხელოვნება ის არის, თუ რომელ ბოლოს მოაკიდო ხელი და ვის დაარტყაო.

იარაღი უადამიანებოდ, რომლებმაც მისი ხმარება იციან და გამოყენებაც უყვართ, მიწაში ჩაფლული უსარგებლო განძია. ბრაუნს მიწაში ჩამარხული განძი ხელს არ აძლევდა და არც თავისი ნიჭის მიწაში ჩაფლას აპირებდა. მასში პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი პოდპოლკოვნიკს უკარნახებდა კომპლექსურად მიდგომოდა პრობლემის გადაწყვეტას: გაეყოდა იარაღი არცთუ იძულებითი ასორტიმენტით — დაქირავებულებთან ერთად. ბრაუნი გაქნილი გაიძვერა იყო და, ოსტას სცემდა სისხლს სამართლის კოდექსს. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსს ამ საქმეში კი ბრაუნს ბადალი არა ჰყავს. ყველას, მის კონკურენტებსაც კი, მიაჩნიათ, რომ არაეინ ისე არ აღის გათვითცნობიერებული დაქირავებულთა ბიზნესში, როგორც ბრაუნი. იგი ოსტატი ექსპერტია. პოტენციურ დაქირავებულთა ბრაუნისეული კარტოთეკა ყველაზე სრულია, ყველაზე ფართოა მისი დამქირავებელთა ქსელიც. ყველაზე სიმეფოა მისი კავშირურთიერთობა პენტაგონთან, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, სახელმწიფო დეპარტამენტთან. აი რატომ არის, რომ ნახევრად გასამზედროებულ ორგანიზაციებსა და მარტოხელებს — თავგადასავლების მაძიებლებს ყველაფერს ურჩევნიათ ბრაუნის ჟურნალი, როგორც შრომის ბირჟა (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ომის ბირჟა).

ვფურცლავ „იღბლიან ჯენტლმენებს“ — ფერადფდიან სოლდატურ „ოგურს“. ყველანაირი იარაღის ფოტოსურათისა და ინსტრუქციები, როგორ იხმარო ისინი, სტატიები ტერორისტებისა და კომანდოსების, შეთქმულებებისა და დივერსიების, ზურგიდან თავდასხმების შესახებ და ბოლოს — განცხადებების გასაყოფილება.

„ყოფილი პარაშუტისტი, სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერი. მზად ვარ ვიმსახურო, სადაც გნებავთ. ნებისმიერ წინადადებზე თანახმა ვარ“. ხელმოწერა. ეს მარტოხელა მგელია.

„გვჭირდება სამხედრო ტექნიკოსები და პროფესიული დაქირავებულები. სამსახურის ადგილია ოკეანისგალმა ქვეყნები“. განცხადების ავტორია ორგანიზაცია „უორლდ უაილდ გაზ ასოშიეიშნი“.

კიდევ ერთი განცხადება: „თანახმა ვარ ვიმსახურო, როგორც დაქირავებულმა, მუდმივად ან ხელშეკრულებით. ვამჭობინებ სამხრეთ ან ცენტრალურ ამერიკას, თუმცა თანახმა ვარ სხვა გეოგრაფიულ რეგიონებზეც გზის ფულის „ნაზოდაურების პირობით“. ხელმოწერა — „გირჰარდი“.

გირჰარდი, გირჰარდი... რა ნაცნობი სახელია! მეხსიერება დავდაბე: ლუანდა — ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი, დაქირავებულთა გასამრთლება, რომლებსაც მეთაურობდა კეპროსელი კოსტას გეორგიუ, ინგლისის საჰაერო-სადესანტო ჯარების ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც „პოლკოვნიკ კელანის“ სახელით იყო ცნობილი. მის გვერდით საბრალდებო სკამზე იჯდა 34 წლის ამერიკელი დანიელ გირჰარდი. სასამართლოს თავმჯდომარემ ერნესტო ტეიშეირა და სილვამ მის შესახებ თქვა, „ეს მეტად საშიში ტიპიაო“. იგი, დაქირავებული ჯალათი, სიკვდილით დასაჯეს სახალხო-18 ნაწილის 959-ე პუნქტი კრძალავს დაქირავებულთა რეკრუტირებას, რაც სამ წლამდე პატიმრობით და ათას დოლარამდე ჯარიმით ისჯება.

მართალია, აღნიშნული პუნქტი არასოდეს არავის მიმართ არ გამოუყენებიათ (ამ შემთხვევაში ამერიკის თემიდა ლამის თვალახვეული წყვდიადში დახეტიალობს), ბრაუნმა თავი მაინც დაიზღვია იმით, რომ დაქირავებულებს თვითონ კი არ ქირაობს, არამედ სთავაზობს მათ, იკისრა „საზარბაზნე ზორცის“ მიმწოდებლის და არა მომხმარებლის როლი. მის მიერ გადაბარებული ლანდსკენტბები ემსახურებოდნენ სმტის რასისტულ რეჟიმს როდეზიაში და ომანის სულთანს. სოლდიერი საკომისიო შემოსავლით ბრაუნმა დაარსა „იღბლიანი ჯენტლმენები“ და იღბლიანი ჯენტლმენი გახდა...

უცნაური რამ არის ისტორიის დიალექტიკ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის 50 წლისთავს ეძღვნება საკავშირო კონფერენცია „ნეირობიოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, რომელიც 5 ოქტომბრამდე გასტანს. მასში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა კონფერენციის რამდენიმე მონაწილეს: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს პლატონ კოსტიუკს, ლენინგრადის ბიოლოგიური და სამედიცინო კიბერნეტიკის ცენტრის დირექტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიონიკისა და ბიომედიკოკიბერნეტიკის სექციის თავმჯდომარეს, ლენინური პრემიის ლაურეატს პროფესორ ვლადიმერ ანუტინს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს მიხეილ ხანანაშვილს და სთხოვა მათ აზრი გამოეთქვათ ქართული ფიზიოლოგიური სკოლისა და ფიზიოლოგიის დღევანდელი პრობლემების კვლევის შესახებ.

გზა აღმავალი

პ. კოსტიუკი: ქართული ფიზიოლოგიური სკოლა საყოველთაოდ არის აღიარებული. უპირველესად, იგი ცნობილია თავისი ტრადიციებით, რომლებიც უთვალსაჩინოესი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. ქართულმა სკოლამ ძირითად სამშობლოთან ერთად სახელი გაითქვა თანამედროვე თემების კვლევის ისეთი მიმართულებებითაც, როგორიც არის ბიოფიზიკა, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, გარდა ამისა, აქ მუშაობენ იმ საკითხებზეც, რომლებიც უშუალოდ შეეხება ჯანმრთელობის დაცვას, ადამიანის შრომისუნარიანობის შენარჩუნებას და იმ მოშლილობათა პროფილაქტიკას, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესთან.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა არქიტექტორებსა და მშენებლებს. — ეს არის საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო, საუცხოოდ აღჭურვილი ინსტიტუტის შენობა. ქართველ მეცნიერებს საშუალება მიეცემათ კიდევ უფრო მაღალ დონეზე წარმართონ მუშაობა, უფრო შემოქმედებითად გადაწყვიტონ ფიზიოლოგიის მეცნიერებათა პრობლემები.

დიდ წარმატებებს ვუსურვებ მათ.

ბ. ახუტინი: ტრადიციულად ავანგარდშია ქართველ ფიზიოლოგთა სკოლა. მისმა კოლექტივმა დამსახურებული აღიარება მოიპოვა. დღეს ჩვენ, ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლები, განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ აკადემიკოს მიხეილ ხანანაშვილის ხელმძღვანელობით ცოცხალი ორგანიზმების კვლევის ტრადიციული მეთოდები სერიოზულად ამდიდრებს სამეცნიერო-ტექნიკური ბაზას. კერძოდ, წლების განმავლობაში ჩვენი კოლექტივები აქტიურად თანამრომლობენ ბიოტექნიკურ სისტემებისა და ცოცხალი ორგანიზმის მართვისა და მისი ქცევის კვლევაში. ამჟამად ამ გამოკვლევათა მიღწევები პრაქტიკულად გამოიყენება და საუცხოო შედეგებს იძლევა.

მ. ხანანაშვილი: ჩვენს ინსტიტუტს დიდი ხანია სურდებოდა თანამედროვე მეცნიერული მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ბატონი ივანეს და მისი საუკეთესო მოწაფეების დიდი ღვაწლის შედეგად შეიქმნა ნიჭიერ მეცნიერ მუშაკთა დიდი კოლექტივი, რომელთა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა სრულიად ახალ პირობებს მოითხოვდა.

ქართულ ფიზიოლოგიურ სკოლას შეექმნა ის პირობები, რომელთა ღირსიც არის. ფაქტობრივად დადებითად გადაწყდა სკოლის პერსპექტიული მომავალიც — ვგულისხმობთ ახალი კადრების აღზრდას. ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს რამდენიმე აქტუალურ პრობლემაზე. რა თქმა უნდა, იგი იყო და რჩება ნერვული სისტემების ფუნდამენტური კვლევის კერად, მაგრამ ჩვენს ძალისხმევას ვახმართ იმას, რომ ამ გამოკვლევათა შედეგები მაქსიმალურად სწრაფად იქნეს გამოყენებული და დანერგილი პრაქტიკაში. ჩამოვთვლით ზოგიერთ პრობლემას: „თავის ტვინის ბაზისური პროცესების კანონზომიერებების შესწავლა“, „ქცევის ზოგადი კანონზომიერებების შესწავლა“, „ქცევის ცენტრალური მექანიზმების შესწავლა“. უფრო კონკრეტულად — შეისწავლება მეხსიერებისა და ემოციების რეგულაციის მექანიზმები, ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგია, თავის ტვინის ჰემისფეროთა შორის ურთიერთობის მექანიზმები და სხვა. ჩამოთვლილი ფუნდამენტური ხასიათის კვლევის საკითხებიდან ნათლად ჩანს მათი პრაქტიკული მნიშვნელობაც. უნდა ითქვას, რომ უკვე მივიღეთ და მომავალშიც მივიღებთ თანამედროვე ხელსაწყოებს და აპარატურას, რაც მთელ ჩვენ გამოკვლევებს საერთაშორისო დონეზე აიყვანს. უდიდესი მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობისა და დახმარების შედეგად.

საუბარი ჩაიწერა
ბ. დურგლიშვილმა.

„ტბელობა“

ხულოს რაიონში გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ტბელობა“, რომელიც მიეძღვნა მე-12 საუკუნის ქართველ მწერალს, ასტრონომსა და მოაზროვნეს ტბელ აბუსერიძეს. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა სპეციალისტთა მზრუნველობას ინტერესს იწვევს. ტბელის ძირითადი თხზულებები გამოიცა გასულ საუკუნეში, ერთ-ერთი მათგანი კი ფრანგულად თარგმნა ალმოსავლეთმცოდნემ მარი ბროსემ. მეცნიერის შემოქმედებითს მემკვიდრეობაშია ავტობიოგრაფიული, კალენდარულ-ასტრონომიული ნასიათის ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილია აქა�გლეხთა ცხოვრება და ყოფა, განხილულია დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მხარე.

ხალხი უდიდეს პატივს მიაგებს თავისი თანამემამულის ხსოვნას. აბუსერიძეების ოჯახის მიერ აგებულ სხალთის ტაძარში გახსნილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ტბელის ხელნაწერთა ფოტოპირები, გლეხთა საოჯახო ნივთები. ახლანდელი დღესასწაულის სტუმრებმა და მონაწილეებმა დაათვალიერეს მუზეუმი. გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივის კონცერტი.

სოფელ ხიხაძირში, ვარციხის უძველეს ციხე-სამაგრესთან, გაიმართა მიტინგი. რვა საუკუნე გვაშორებს ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ტბელ აბუსერიძე. იგი ქმნიდა იმას, რითაც დღესაც ვამაყობთ, თქვეს მიტინგის მონაწილეებმა, რომლებმაც ხაზი გაუსვეს მოაზროვნის მემკვიდრეობის მნიშვნელობას.

დიდი წინაპრის უკვდავება

სამგრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიში გაიმართა სახალხო დღესასწაული — დიდი ქართველი მეცნიერის, მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დღე. იგი უკვე მეთერთმეტედ იმართება ნ. ნიკოლაძის დედულეთში, მისსავე სახლ-მუზეუმში. აქ გაატარეს ბავშვობის წლები ნიკოს სახელოვანმა შვილებმა გიორგი, რუსუდან და თამარ ნიკოლაძეებმა.

დღესასწაულს ტრადიციულად რაიონის მოწინავე ადამიანებთან, სოფლის მშრომელებთან ერთად ნ. ნიკოლაძის შთამომავალნიც ესწრებოდნენ.

საზეიმო საღამო გახსნა პარტიის სამტრედიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ. ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე ილაპარაკეს სახლ-მუზეუმის დირექტორმა ვ. ბიბილეიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტმა დ. ჩიკვილაძემ, ნ. ნიკოლაძისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ალექსანდრე შანიძემ.

ამ საზეიმო დღესთან დაკავშირებით მოეწყო მოწინავე კოლმეურნეების დაჯილდოება და სამტრედიის რაიონის საპატიო მოქალაქეების არჩევა.

სოფლის კულტურის სახლში მაყურებელმა ნახა კინოსურათი „ნიკო ნიკოლაძის ოჯახი“. შემდეგ გაიმართა კონცერტი სამტრედიის რაიონის თვითმოქმედი კოლექტივებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობით.

(საქინფორმი).

მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი

მანევრულ ბრძოლაში

ბორჯომის კინოსაკონცერტო დარბაზ „ლიკანში“ დიდძალი მაყურებელი დაესწრო მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახმილოვსკაიას მატჩის მორიგ მეცხრე პარტიას, რომელითაც დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი.

მსოფლიო ჩემპიონმა ისევ კატალონიური დასაწყისი აირჩია, რომელმაც მას სოფიაში დიდი წარმატება მოუტანა. ამჯერად ახმილოვსკაია დასაწყისში უფრო ზუსტად თამაშობდა. მეექვსე სვლაზე ჩიბურდანიძემ გამოიყენა იშვიათი მანევრი მხედრით, რომელსაც შავებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს პაიკის გარღვევით ცენტრში. ამის შედეგად უკვე მეათე სვლაზე გაიცვალა ლაზიერები, შეიქმნა თანაბარი, მაგრამ ტაქტიკური შესაძლებლობებით აღსავსე პოზიცია. ჩიბურდანიძემ რამდენადმე ტემპი დაკარგა, რამაც შავებს საშუალება მისცა ლაზიერის ფრთაზე გარკვეული მუქარა შეექმნათ. მომდევნო თამამში ბრძოლის სიმძაფრე არ დამცხრალა. ახმილოვსკაიამ ლაზიერის ფრთაზე გახსნა ხაზი, შექმნა გამსვლელი პაიკი. მსოფლიო ჩემპიონმა არ დაუშვა მისი შემდგომი წინსვლა. მაშინ ახმილოვსკაია, რომელმაც მთელი შეხვედრა ენერგიულად წარმართა, დაეუფლა მნიშვნელოვან ცენტრალურ ხაზს. შემდეგ შავებმა მეტოქის ბანაკის სიღრმეში ეტლიც გადაისროლეს. ეტყობა, შემდეგში პრეტენდენტს თავი უნდა შეეკავებინა ამ ეტლის გაცვლისაგან, მაგრამ პოზიციური უპირატესობა მან მაინც შეინარჩუნა.

პარტია გადაიდო. ჩემპიონმა ჩაიწერა 41-ე სვლა. შეწყვეტილი პოზიცია დეტალურ ანალიზს მოითხოვს. თეთრებმა უნდა აზრუნონ მეტოქის გამსვლელი პაიკის შესაჩერებლად.

სურათებზე: დაიწყო მ. ჩიბურდანიძისა და ე. ახმილოვსკაიას მატჩის მეორე ნახევარი. მარცხნივ — ინტერვიუს აძლევს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი.

ს. კილაძის ფოტო.

ყველა შედეგის შემდეგ

ახლა, როცა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო კლუბების ტურნირების საწყისი ეტაპის ყველა შედეგი ცნობილი გახდა, შესაძლებლობა გვაძლევს მკითხველებს ვაცნობოთ, თუ ვინ ითამაშებს მომდევნო ეტაპის მატჩებში.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდნენ კიევის „დინამო“, გფრ-ის „ბაიერნი“, პორტუგალიის „პორტო“, ავსტრიის „აუსტრია“, იტალიის „იუვენტუსი“, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“, მადრიდის „რეალი“, ბელგიის „ანდერლეხტი“, დანიის „ბრონდბიუ“, თურქეთის „ბეშიქთაში“, კვიპროსის „აპოელი“, ნორვეგიის „რუსენბორგი“, გდრ-ის „დინამო“ (ბერლინი), შოტლანდიის „სელტიკი“, ჩეხოსლოვაკიის „ვიტკოვიცე“ და რუმინეთის „სტიაუა“ (ეს უკანასკნელი პირველი წრის მატჩებისგან თავისუფალი იყო).

თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში ითამაშებენ მოსკოვის „ტორპედო“, ავსტრიის „რაპიდი“ (ვენა), ესპანეთის „სარაგოსა“, პორტუგალიის „बენფიკა“, ალბანეთის „17 ნენტორი“, შვეიცარიის „სიონი“, საფრანგეთის „ბორდო“, შვეიცარიის „მალმიო“, ჰოლანდიის „აიაქსი“, უელსის „რექსჰემი“, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“, გფრ-ის „შტუტგარტი“, ბულგარეთის „ვიტოშა“, გდრ-ის „ლოკომოტივი“, იუგოსლავიის „ველეჟი“. პოლონეთის გკს-ისა და ისლანდიის „ფრამის“ განმეორებითი მატჩის შედეგი ჯერ არ არის ცნობილი.

უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში ითამაშებენ მოსკოვის „სპარტაკი“, პოლონეთის „ლეგია“ (ვარშავა), უნგრეთის „რაბა ეტო“, პორტუგალიის „სპორტინგი“, შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი“, ჰოლანდიის „გრონინგენი“, ესპანეთის „ატლეტიკი“ (ბილბაო), ესპანეთის „ატლეტიკო“ (მადრიდი), ბელგიის „გენტი“, ჰოლანდიის „ფეიენორდი“, პორტუგალიის „გიმარაეში“, ჩეხოსლოვაკიის „დუკლა“, იტალიის „ტორინო“, გფრ-ის „ბაიერი“ (ლევერკუზენი), შვეიცის „ბეტებორგი“, გდრ-ის „შტალი“, შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“, გფრ-ის „ბაიერი“ (იურდინგენი), პოლონეთის „ვიძევი“, შვეიცარიის „ქსამაქსი“, ბელგიის „ბევერენი“, იუგოსლავიის „ჰაიდუკი“, ესპანეთის „ბარსელონა“, ბულგარეთის „თრაკია“, ავსტრიის „სვაროვსკი-ვაკერი“, გფრ-ის „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი), რუმინეთის „სპორტული“, რუმინეთის „უნივერსიტატია“, ბელგიის „სტანდარდი“, საფრანგეთის „ტულუზა“. პორტუგალიის „ბოავიშტასა“ და იტალიის „ფიორენტინა“, აგრეთვე საბერძნეთის აეკ-ისა და იტალიის „ინტერის“ განმეორებითი მატჩების შედეგები ჯერ არ არის ცნობილი.

გუშინ გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო კლუბების ტურნირების მომდევნო ეტაპში მოსასპარეზე გუნდების წილისყრა.

3 ოქტომბერს ციურიხში უეფას შტაბ-ბინაში გამართული წილისყრის შედეგად **ევროპის ჩემპიონთა თასზე** მერვედფინალურ მატჩში კიევის „დინამოს“ მეტოქე იქნება შოტლანდიის ჩემპიონი „სელტიკი“. პირველი თამაში გაიმართება გლაზგოში 22 ოქტომბერს, საპასუხო — კიევში 5 ნოემბერს. **ევროპის თასის მფლობელთა თასის** ტურნირში მოსკოვის „ტორპედო“ შეხვდება „შტუტგარტს“ (გფრ), ხოლო **უეფას თასზე** მეთექვსმეტედფინალურ მატჩში მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქე იქნება საფრანგეთის „ლუნი“ „ულტიმატუმ“. პირველ მატჩს „სპარტაკი“ გამართავს მეტოქის მოედანზე, „ტორპედო“ შინ ითამაშებს. პირველი მატჩები გაიმართება 22 ოქტომბერს, ხოლო საპასუხო მატჩები — 5 ნოემბერს.

სულ 4 სვლაში

კასპაროვ-კარპოვის მატჩის ოცდამეერთე პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში: **კარპოვი** (თეთრები) — **მფd8, კc2, მf2, პb. a2, e4, f4, g3, h4 (8). კასპაროვი** (შავები) — **მფd6, მh6, კc6, პb. a7, c5, f6, g7, h6 (8). მიმომხილველთა საერთო აზრით, პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, ასეც მოხდა.**

41. ... კb5 (შავების მიერ ჩაწერილი სვლა). 42. მფc8 მa4+ 43. მფd2 c4 44. e5 fe 45. მe4 მფe6. ყაიმი.

ამრიგად, ანგარიში გახდა 10,5:10,5.

საფეხბურთო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ერთი კალენდარული მატჩი. ცსკამ მიიღო ტაშკენტის „ფახთაქორი“. გაიმარჯვეს არმიელებმა — 1:0.

კალათბურთი. ბუქარესტში მოეწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ტურის მატჩი ადგილობრივ „სტიაუასა“ და კაუნასის „ჟალგირისს“ ვაჟთა გუნდებს შორის. კაუნასელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 107:90. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება კაუნასში 9 ოქტომბერს.

ჩოგბურთი. ინდოეთის დედაქალაქ დელში დევისის თასის გათამაშების პირველი დღის მატჩის შემდეგ ინდოეთისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელებს შორის ლიდერობენ მასპინძლები. სასტარტო ორთაბრძოლაში ანდრია ჩესნოკოვმა წააგო ვიჯეო ამრიტრაჯთან — 1:6, 4:6. 4:6. ალექსანდრე ზვერევმა პირველი ორი პარტია მოიგო რამუ კრიშნანთან, მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და შემდგომი სამი პარტია წაგო — 6:3, 6:3, 0:6, 1:6, 4:6.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიანი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა სკკპ წევრი, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, აჭარის სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
ვიტალი ვარლამის ძე მიქელაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ორშაბათი, 6 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დილის გასართობი პროგრამა. „რიტმი, რიტმი, რიტმი“... 11.00 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — ხალხური შემოქმედება. „სიმღერის შესწავლა“ (გადაცემას უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ქევხიშვილი). 12.25 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმები: „სახლი“ და „კალეიდოსკოპი“ (რეჟისორი შალვა გედევანიშვილი). 12.50 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზემო დონზე“. 13.00 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო. გდრ-ის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 14.00 — „მულტპანორამა“. 15.05 — ლიტერატურული გადაცემა. „მიხეილ ზოშჩენკო“. 16.15 — „ვესტნიკი“. 16.45 — კონცერტი. „უკრავს მარინე იაშვილი“. 17.15 — „აქტუალური ეკრანი“ (ეკონომიკა ყველა ჩვენგანის საზრუნავია). 17.45 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: მინსკის „დინამო“ — ქუთაისის „ტორპედო“. 5 ოქტომბრის შეხვედრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 18.30 — საერთაშორისო ფესტივალი. „მშვიდობა, მუსიკა, ტურიზმი“. 19.35 — „ზღაპრის გუდა“. 19.55 — მოამბე. 20.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.35 — სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლი. „თოლია“. 1-ლი მოქმედება. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლი. „თოლია“. მე-2 მოქმედება.

სამშაბათი, 7 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები ბავშვებისათვის: „დომკა განაწყენდა“, „დომკა-ველოსიპედისტი“ და „დომკას მამლაყინწა“ (მ.). 10.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფერგანის ცისფერი რკალი“. 11.00 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმები: „საზამთრო“, „ობობა და მზე“ (რეჟისორი კ. სულაკაური). 11.25 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები (მ.). 11.55 — „ჩვენი კონსტიტუცია“. 12.25 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — მოსწავლეთათვის. „მეგობრობის მერიდიანზე“. 13.20— პროფკავშირული სატელევიზიო ჟურნალი „შრომა და დასვენება“. საქართველოს კურორტებზე. 13.45 — ლიტერატურული გადაცემა „სიმღერა მეგობრობისა“. 14.25 — საკვირაო გამოფენა. 14.35 — კონცერტი. 15.05 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „აჭარული ჩანახატები“. 15.50 — „მეგობრების შეხვედრები“ (ლენინგრადის ტელევიზიის მუსიკალური გადაცემა). 16.50 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“. 17.00 — ქართული მხატვრული ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. 18.30 — საკვირაო გამოფენა. 18.40 — საერთაშორისო ფესტივალი „მშვიდობა, მუსიკა, ტურიზმი“ (ფესტივალის დახურვა). 20.00 — მოამბე. 20.40 — დოკუმენტური ფილმი „მხატვარი და დრო“. 21.00 — სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. 21.45 — დედოფლის გვირგვინისათვის. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საზეიმო კონცერტი (მ.).

ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კარპატული წყაროები“ (პირველი ჩვენება). 13.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რისკი გონიერების ფარგლებში“ (პირველი ჩვენება). 13.55— საინფორმაციო გამოშვება. 14.10 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სადაც იატრანი უზვევს“ (პირველი ჩვენება). 17.00 — კინოჟურნალი. 17.10 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმი „თერძი ბესო“ (რეჟისორი ლ. ფერნანდესი). 17.25 — მოსწავლეთათვის. „კარი ჩვენს მოგვეწონება, ცუდი — არც თავის დედასა“ (განმეორებით). 18.10 — განსახადებები. 18.15 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „მოგითხრობთ

ცისფერი ეკრანი
საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა



პროფესიაზე“. (მკერავი). 18.35 — პარტიული ცხოვრება. „ტრიბუნაზეა კომუნისტი“. 19.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“. ვახტანგ დავითაია. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 21.00 — ლიტერატურული გადაცემა „ყვარლიდან მთაწმინდამდე“. გადაცემა მეორე (ეძღვნება ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საოპერო მუსიკის დღესასწაული ქუთაისში (გადაცემა მეორე). 23.55 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.).

მეორე პროგრამა. 16.10 — მხატვრული ფილმი „მოგზაურობა სასიამოვნო ღენებაზე“. 17.25 — განცხადებები. 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნახშირი ჩვენი საზრუნავია“. 18.00 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. 12.00 — რ. ხორავას კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (განმეორებით). 13.45 აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჯაგშანზე მტკაცეა“. 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „ფო-რე-მი“. 18.25 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „სოცშეჯიბრება ახალ საფეხურზე“. 19.10 — საქართველოს ქალაქიმუზეუმები. მცხეთა (რუსულ ენაზე). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — მსოფლიო საოპერო ხელოვნების საგანძურიდან. „ლუჩინო პავაროტი“ (გადაცემას უძღვებიან ნ. ანდღულაძე და პ. ბურჭულაძე). 21.45 — დედოფლის გვირგვინისათვის. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „პოლტზე“. 23.45 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდ გემს“... 17.05 — მასწავლებლის საათი. რუსული ენა. 17.50 — დოკუმენტური ფილმი. „ძველი რუსეთის ოქროს სიტყვა“. 18.10 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

პარასკევი, 10 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — ქართული მხატვრული ფილმი „ჰოლტზე“. 11.20 — „მუსიკის სამყაროში“ (განმეორებით). 12.30 — „საბჭოური ცხოვრების წესი“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუტაგორ ხაბიბულაევი“ (პირველი ჩვენება). 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — „ბალეტის მოყვარულთათვის“ (განმეორებით). 18.05 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კრასნოიარსკი“ (პირველი ჩვენება). 18.25 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმი „ლომი და კაცი“. (რეჟისორი ბ. სტარიკოფსკი). 18.40 — ხალხური შემოქმედება. „ვაჟას მზე“ (თვითნასწავლი მხატვარი რ. ტოხაშვილი). 19.15 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში: ცსკა — თბილისის „დინამო“. 9 ოქტომბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.30 — ბინათმშენებლობა. ტემპი, ხარისხი (გადაცემა თანამშრომლობაში. 0.15 — ფრენბურთი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „ფრიალოზე“. I და II სერია. 11.30 — დოკუმენტური ფილმი „მხატვარი უგარავი“. 11.50 — მეცნიერება და ცხოვრება. 12.20 და 19.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 12.35 — რუსული მეტყველება. 13.05 — მუსიკის გაკვეთილი მასწავლებელს. IV კლასი. 14.10 — პასუხი მაყურებელთა წერილებზე. 15.05 — მურმანსკის ტელესტუდიის პროგრამა. 16.15 და 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — სპორტული პროგრამა. ჰოკეი, ფეხბურთი. შეხვედრებისას — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. ბეთპოვენის ნაწარმოებები.

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 და 19.30 — მულტფილმები. 10.10 — ფილმ-კონცერტი „არფის ჯადოსნური ხმები“. 10.35 — „გამოგვეხმაურეთ, მეგუკენო!“. 11.05 — დ. კაბალევსკი. კანტატა ბავშვთა გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. 11.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 და 17.10 — დოკუმენტური ფილმები. 16.20 — ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის ანსამბლის კონცერტი. 16.35 — დღის სკოლა. 17.10 — დოკუმენტური ფილმი „გობელენი, ქანდაკება და ჩვენ“. 17.30 — გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ. 18.30 — „ვ. ტელეკნისის სიმღერები“. 19.00 — „გაკვეთილების შემდეგ“. „სოფელში მასწავლებელი ჩამოვიდა...“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მიმდინარეობს გარდაქმნა. რეპორტაჟი პარტიული კრებიდან. 20.25— კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ფრიალოზე“. III სერია. 23.45 — „ნდობის გზა“. მასმედიისა ინფორმაციის სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციის და ბიოლოგიური ინფორმაციის გადაცემას მანძილზე (უსადენოდ). ამით ვსწავლობთ ცოცხალ ორგანიზმს მისი სასიცოცხლო ფუნქციების გაურთულებლად, ვთქვათ, ძმივ ხელოვნურად ან ლაბორატორიული ხელსაწყოების ჩაურევლად. ასეთი მიკროელექტროკარდიოგრაფი კვების წყაროიანად და ანტენიანად მხოლოდ 20 გრამამდე იწონის.

კოლეგები გულთბილად ვულოცავთ ქართველ ფიზიოლოგებს სახელოვან იუბილეს. იმედს გამოთქვამ, რომ ინჟინრებისა და ბიოლოგების კავშირურთიერთობა შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით გადავჭრათ ადამიანის ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲦᲠᲔᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“